ხიმინჯების თითოეული შეერთება უნდა იყოს კვადრატული კვეთის დაცენტრებული ხიმინჯის ღერძის მიმართ, არა უმეტეს 1/150-ზე დაშვებით. ხიმინჯის შეერთების ცენტროიდი უნდა იყოს 5 მმ-ს ფარგლებში ხიმინჯის ელემენტის რეალური ღერძიდან.

3) ხიმინჯის ბოლოების კონსტრუქცია ისეთი უნდა იყოს, რომ გამოირიცხოს ხიმინჯის დაზიანება მისი დამონტაჟების დროს.

**ხიმინჯების სათავისების არმირება**

4) ხიმინჯის სათავისები უნდა იყოს არმირებული ან შეკრული, რათა ხიმინჯი არ გასკდეს ჩასობის დროს.

ცხრილი 16/1: ჩანაწერები, რომლებიც უნდა იწარმოებოდეს (აღნიშნულია ვარსკვლავით)

მონაცემები	რკინაბეტონის ფოლადის მზიდის ჩასასობის წინასწარ რდამზადებული ხიმინჯები	წინასწარ დამზადებული ჩასასობის ელი რკინა-ბეტონის ხიმინჯები	ჩასასობის ადგილზე ჩამოსხმული რკინა-ბეტონის ხიმინჯები	ბურღვით ადგილზე ჩამოსხმული ბეტონის ხიმინჯები	უწყვეტი ხრახნული ბეტონის ან დუღაბის ხიმინჯები
კონტრაქტი	*	*	*	*	*
ხიმინჯის ნომერი (მდებარეობა)	*	*	*	*	*
ხიმინჯის ტიპი	*	*	*	*	*
ნომინალური განიკვეთის ზომები ან დიამეტრი	*	*	*	*	*
ღულის გაფართოების/ბაზის ნომინალური დიამეტრი	-	-	-	*	-
წინასწარ დამზადებული ხიმინჯის სიგრძე	*	*	-	-	-
მდგარი გრუნტის წყლის დონე უშუალო დაკვირვებიდან ან მოცემული ობიექტის კვლევის	-	-	*	*	*

მონაცემები	რკინაბეტონისა და ფოლადის მზიდის ჩასასობის წინასწარ დამზადებული	წინასწარ დამზადებული ჩასასობის გადასაბმელი რკინაბეტონის ხიმინჯები	ჩასასობის ადგილზე ჩამოსხმული რკინაბეტონის ხიმინჯები	ბურღვით ადგილზე ჩამოსხმული ბეტონის ხიმინჯები	უწყვეტი ხრახნული ბეტონის ან დუღაბის ხიმინჯები
მონაცემებით ჩასობის, ხელახლა ჩასობის ან ბურღვის დღე და დრო	*	*	*	*	*
დაბეტონების თარიღი	-	-	*	*	*
გრუნტის დონე ხიმინჯის ადგილას, ხიმინჯის მონტაჟის დაწყებისთვის (საწყისი ზედაპირი)	*	*	*	*	*
სამუშაო დონე, რომელზეც დგას ხიმინჯების ჩასასობი მანქანა	*	*	*	*	*
სიღრმე ხიმინჯის ადგილას გრუნტის დონიდან ხიმინჯის წვერომდე	*	*	*	*	*
წვეროს დონე	*	*	*	*	*
ხიმინჯის სათავისის დონე მშენებლობის დამთავრებისას	*	*	*	*	*
ხიმინჯის გადაჭრის დონე	*	*	*	*	*
დროებითი ყალიბის სიგრძე	-	-	*	*	-
მუდმივი ყალიბის სიგრძე	-	-	*	*	-
ჩაქუჩის ტიპი, წონა, ვარდნა, მექანიკური	*	*	*	-	-
მდგომარეობა და ეკვივალენტური ინფორმაცია სხვა ალტურვილობისთვის	*	*	*	-	-
გამოყენებული შეფუთვის ნომერი და ტიპი და ხიმინჯის ჩასასობად გამოყენებული ალტურვილობის მდგომარეობა	*	*	*	-	-
ხიმინჯის ან ხიმინჯის მილისის სიღრმეში ჩასვლა, მილიმეტრებში, ათ დარტყმაზე, ან დარტყმათა რიცხვი 25-მმ-ზე ჩასვლისთვის	*	*	*	-	-
გრუნტისა და ხიმინჯის დროებითი შეკუმშვა 0.25 მ ინტერვალებში დაფიქსირებული	*	*	*	-	-
წინააღმდეგობა ჩასობის მიმართ ნიადაგის ნიმუშები, რომლებიც აღებულია	*	*	*	*	*
ადგილზე ტესტირების დროს, რაც განხორციელდა ხიმინჯის ფორმირებისას ან ხიმინჯის პოზიციის მახლობლად	*	*	*	*	*
არმატურის სიგრძე, სხვა დეტალები და საფარი	-	-	*	*	*
ბეტონის ნარევი	-	-	*	*	*
ხიმინჯთან მიწოდებული ბეტონის მოცულობა, როდესაც ეს პრაქტიკულად მიზანშეწონილია	-	-	*	*	*
ყველა ინფორმაცია, რომელიც შეეხება დაბრკოლებებს, შეფერხებებსა და სამუშაოების მიმდინარეობის სხვა	*	*	*	*	*
ხელშემშლელ ფაქტორებს ხიმინჯის ფორმირების ალტურვილობა	*	*	*	*	*
ნომრების ჩათვლით	-	-	-	*	*
მოთხრილი გრუნტის აღწერა	-	-	-	*	*
სიღრმე საწყისი ზედაპირიდან ქანების შრეების ცვალებადობისა და მდგარ	-	-	-	*	*

მონაცემები	რკინაბეტონისა და ფოლადის მზიდის ჩასასობის წინასწარ დამზადებული ხიმინჯები	წინასწარ დამზადებული ჩასასობის გადასაბმელი რკინა-ბეტონის ხიმინჯები	ჩასასობის ადგილზე ჩამოსხმული რკინა-ბეტონის ხიმინჯები	ბურღვით ადგილზე ჩამოსხმული ბეტონის ხიმინჯები	უწყვეტი სრახნული ბეტონის ან დუღაბის ხიმინჯები
გრუნტის წყლების დონემდე და ნებისმიერ სხვა ცვალებადობამდე	-	-	-	*	-
სიღრმე ბეტონის ზედაპირის საშუალო დონიდან, დროებითი ქარგილის მოშორებამდე და მოშორების შემდეგ ძრავის ტიპი, მომენტი. შეფასებული მწარმოებლობა	-	-	-	-	*
სიღრმე ბეტონის ზედაპირიდან, ბეტონის ყოველი ნაკადის ჩასხმის შემდეგ დახრილი ხიმინჯებისთვის, დახრის კუთხე დამხმარე სითხის ტესტები	*	*	*	*	-
მონიტორინგის ინფორმაცია, 1604 პუნქტის მე-15 ქვეპუნქტის მიხედვით	-	-	-	-	*
არმატურის კონსტრუქციის წვეროს დონე კონტრაქტი	*	*	*	*	*
ელემენტების ნომრები (მდებარეობა) ელემენტების ტიპი	*	*	*	*	*
ნომინალური განივკვეთის ზომები მიმართველი კედლის წვერო და ძირი (საჭიროების მიხედვით)	*	*	*	*	*
წინასწარ დამზადებული ელემენტის სიგრძე გრუნტის წყლების დონე უშუალო დაკვირვებიდან	*	-	-	-	*
გათხრის დღე და დრო დაბეტონების თარიღი	*	*	*	*	*
მიწოდებული მასალების მიღების დღეები გრუნტის დონე ელემენტის პოზიციაზე, ელემენტის მონტაჟის დაწყებისას (საწყისი ზედაპირი)	*	*	*	*	*
სამუშაო დონე, რომელზეც დგას მანქანა სიღრმე გრუნტის დონიდან ან მიმართველი კედლიდან, საჭიროებისამებრ, და ელემენტების მდებარეობა შესაბამისი ელემენტის წვეროს მიმართ	*	*	*	*	*
წვეროს დონე	*	*	*	*	*
აშენებული ელემენტის თავის დონე ელემენტის გადაჭრის დონე	*	*	*	*	*
დეტალები ელემენტების შეჭრის ბოლო წერტილის შესახებ	*	-	-	-	-
დროებითი ყალიბის სიგრძე, საჭიროებისამებრ	-	*	*	*	*
მუდმივი ყალიბის სიგრძე, საჭიროებისამებრ ნიადაგის სინჯები და ელემენტების ფორმირებისას ან ელემენტების მდებარეობის მახლობლად აღებული სინჯების ადგილზე ტესტირება	*	*	*	*	*
ტესტები დამხმარე სითხისთვის	*	*	*	*	*

მონაცემები	რკინაბეტონის ფოლადის მზიდის ჩასასობის წინასწარ დამზადებული ჩასასობის გადასაბმელი რკინა-ბეტონის ხიმინჯები	წინასწარ დამზადებული ჩასასობის გადასაბმელი რკინა-ბეტონის ხიმინჯები	ჩასასობის ადგილზე ჩამოსხმული რკინა-ბეტონის ხიმინჯები	ბურღვით ადგილზე ჩამოსხმული ბეტონის ხიმინჯები	უწყვეტი სრახნული ბეტონის ან დუღაბის ხიმინჯები
ფოლადის არმატურის სიგრძე და დეტალები მის შესახებ, საჭიროებისამებრ	*	*	*	*	*
ბეტონის ნარევი და ხსნარი	*	*	*	*	*
ელემენტისთვის მიწოდებული ბეტონის მოცულობა	*	*	*	*	*
ბეტონის ან ხსნარის წვეროს დონისა და უღუფებით ჩასხმული ბეტონის რაოდენობის დამოკიდებულების გრაფიკი	*	*	*	*	*
ყველა ინფორმაცია, რომელიც შეეხება შეფერხებებს, დაბრკოლებებს და სამუშაოების მიმდინარეობის სხვა ხელშემშლელ ფაქტორებს.	*	*	*	*	*
მშენებლობის შემდგომი ჩანაწერები ელემენტების ვერტიკალური და ჰორიზონტალური მდებარეობების შესახებ, საჭიროებისამებრ	*	*	*	*	*
გრუნტის, კონსტრუქციებისა და სამოშაოთა მოძრაობა სპეციფიკაციის მიხედვით	*	*	*	*	*

შენიშვნა: 1) ყველა დონეები უნდა ნახაზებში მითითებული მონაცემების შესაბამისი იქნეს

2) ყველა დრო მოცემული უნდა იქნეს 24 საათიან სისტემაში.

**დაშვებები ხიმინჯების ზომებისთვის**

5) ხიმინჯის განივკვეთის ზომები არ უნდა იყოს მითითებულზე მეტი ან ნაკლები, 6 მმ-ზე მეტით. ხიმინჯის თითოეული მხარე არ უნდა იყოს ზედაპირის ნებისმიერი ორი წერტილის შემაერთებელი სწორი ხაზიდან გადახრილი 6 მმ-ზე მეტად, ყოველ 3 მეტრზე, ასევე, ხიმინჯის ნებისმიერ განივკვეთზე, ხიმინჯის სიგრძის გასწვრივ, ცენტრი არ უნდა იყოს წანაცვლებული 1/500-ზე მეტით წრფიდან, რომელიც ხიმინჯის ბოლოების ცენტრებს აერთებს. როდესაც ხიმინჯის სიგრძე 3 მეტრზე ნაკლებია, წრფიდან ნებისმიერი დასაშვები გადახრა უნდა შემცირდეს 6 მმ-ზე მცირე მაჩვენებლამდე, პროპორციულად, რეალური სიგრძის შესაბამისად.

ხიმინჯის ელემენტის ან ხიმინჯის ბოლოს სათავისი, რომელზეც ეცემა ურო, მართი კუთხით უნდა იყოს ხიმინჯის ღერძის მიმართ, 1/150-ზე დაშვებით.

**არმირება ქარხნულად დამზადებული არმირებული და წინასწარ დაჭიმული ბეტონის ხიმინჯებისთვის**

6) ფოლადის არმატურა უნდა შეესაბამებოდეს 1700 სერიას.



ძირითადი გრძივი არმატურის ღეროები ხიმინჯში, რომლებიც 12 მეტრზე მეტი არ არის, უნდა იყოს მთლიანი. ხიმინჯებში, რომელთა სიგრძე 12 მეტრზე მეტია, დასაშვებია შეერთებები ძირითად გრძივ ღეროებში, ისე რომ შეერთებების რიცხვი მინიმალური იყოს. არმატურის შეერთებები ისეთი უნდა იყოს, რომ შეერთების ადგილი აბსოლუტურ სიმტკიცეს აღწევდეს.

პირგაგადებით ან დახრილი ჩაჭრით გადაბმულ შეერთებებს უნდა ჰქონდეს დამაკავშირებელი ღეროები, რომლის დიზაინი ითვალისწინებს ექსცენტრული ძალების მიმართ მედეგობას. არმირება უნდა ითვალისწინებდეს ჩაბმისა და აწევის საჭიროებებს.

განმზღენები უნდა დაპროექტდეს და დამზადდეს გამძლე მასალების გამოყენებით, რომლებიც არ გამოიწვევს არმატურის კოროზიას ან ბეტონის ატკეჩვას. წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ვარაუდობს კონტრაქტორი არმატურის სწორად განთავსებასა და მისი დამცავი ფენის უზრუნველყოფას.

### **არმატურა ქარხნულად დამზადებული არმირებული ბეტონის სეგმენტური ხიმინჯებისთვის**

7) ფოლადის არმატურა უნდა შეესაბამებოდეს 1700 სერიას.

ძირითადი გრძივი არმატურის ღეროები მთლიანი უნდა იყოს. გათვალისწინებული უნდა იყოს ჩაბმისა და გადატანისთვის.

განმზღენები უნდა დაპროექტდეს და დამზადდეს გამძლე მასალებით, რომლებიც არ გამოიწვევს არმატურის კოროზიას ან ბეტონის ატკეჩვას. წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ვარაუდობს კონტრაქტორი არმატურის სწორად განთავსებას და მისი დამცავი ფენის უზრუნველყოფას.

### **ქარგილი**

8) თუ ხიმინჯს აქვს ფასონური ნაწილები ან ბუნიკი, მაშინ ხიმინჯის ბოლო სიმეტრიული უნდა იყოს ხიმინჯის ვერტიკალური ღერძის მიმართ. ხიმინჯზე არსებულ დამუშავების ან მონტაჟისთვის გათვალისწინებულ ხვრელებს გამოკრული უნდა ჰქონდეს ფოლადის მილები ან, ალტერნატიულად, ისინი შეიძლება ჩატანებული იყოს.

ქარგილი უნდა იყოს მყარი, სუფთა და ისეთი კონსტრუქცია ჰქონდეს, რომ ხსნარი ან შემავსებელი არ დაიკარგოს თხელი ბეტონის შემთხვევაშიც; მან უნდა უზრუნველყოს ხიმინჯების ერთგვაროვანი სექციების წარმოება დეფექტების გარეშე. ხიმინჯი ქარგილიდან ისე უნდა იქნეს ამოღებული, რომ ხიმინჯი არ დაზიანდეს.

### **ბეტონი**

#### **ზოგადი**

9) ცემენტის მასალები, შემავსებლები, მინარეგები და წყალი უნდა შეესაბამებოდეს 1700 სერიას.

ბეტონის ჩასხმისა და დატენვის მეთოდი უნდა უზრუნველყოფდეს, რომ საბოლოო მდგომარეობაში ბეტონი მკვრივი და ერთგვაროვანი იყოს.

### **ბეტონის დაცვა და მისი მოვლა**

10) დატენვის შემდეგ, დაუყოვნებლივ, ბეტონი ადეკვატურად უნდა იყოს დაცული ამინდის, მათ შორის, ქარის, წვიმის, ტემპერატურის სწრაფი ცვლელადობისა და გაყინვის მანერე ზემოქმედებისგან. ბეტონის მომწიფება და დაჩქარებული მომწიფება უნდა შეესაბამებოდეს 1710-ე პუნქტს.

ხიმინჯი არ უნდა მოიხსნას ქარგილიდან, სანამ არ იქნება მიღწეული ბეტონის საკმარისი სიმტკიცე, რათა ხიმინჯთან შეხება დაზიანების გარეშე იყოს შესაძლებელი.

### **წინასწარ დაძაბვა**

#### **ზოგადი**

11) წინასწარ დაძაბვის ოპერაციები უნდა ჩატარდეს მხოლოდ გამოცდილი და კომპეტენტური ზედამხედველის ხელმძღვანელობით. ყველა პერსონალი, რომელიც დამჭიმავ აღჭურვილობასთან მუშაობს, სათანადოდ უნდა იყოს მომზადებული ამ აღჭურვილობის გამოყენებისთვის.

დაჭიმვები და ჯამური ძალები, დანაკარგების დაშვების ჩათვლით, გამოთვლილი უნდა იყოს დაძაბვის დაწყებამდე.

წინასწარ დაძაბული ღეროების დაჭიმვა და წინასწარი დაჭიმულობის გადაცემა უნდა განხორციელდეს თანდათანობით, თანაბარი ტემპით. ძალის მნიშვნელობები მიიღება აღჭურვილობაში ჩამონტაჟებული ახლად კალიბრებული დინამომეტრული ელემენტის ან წნევის საზომი ხელსაწყოთა ანათვლებიდან. წინასწარ დაძაბული ღეროების დაჭიმვა უნდა იყოს გაანგარიშებული დაჭიმულობის 5%-ის ფარგლებში.

### **ბეტონის სიმტკიცე**

12) კონტრაქტორმა უნდა ჩამოასხას საკმარისი რაოდენობის კუბები, რომელთა მომწიფება ისევე ხდება, როგორც ხიმინჯის შემთხვევაში, რათა მან შეძლოს, ერთ ჯერზე ორი კუბის ტესტირებით, კუბების წყვილებს შორის სათანადო ინტერვალით იმის დემონსტრირება, რომ ბეტონის საჭირო სიმტკიცე მიღწეულია.

ხიმინჯების ბეტონი არ უნდა დაიჭიმოს მანამ, სანამ ტესტირების კუბები საჭირო სიმტკიცეს არ მიაღწევს.

### **ჩანაწერები**

13) კონტრაქტორმა უნდა აწარმოოს დეტალური ჩანაწერები, რომლებშიც დაფიქსირდება დაჭიმულობა, გაზომილი დაჭიმვები, წნევის საზომი ხელსაწყოთა ან დინამომეტრული ელემენტის ანათვლები და დაჭიმვების რაოდენობა თითოეულ ანკერზე. კონტრაქტორმა ასევე უნდა შეამოწმოს თითოეული ხიმინჯის არმატურის დამცავი ფენა და უზრუნველყოს, რომ ის შეესაბამებოდეს მოცემულობას. ამ ჩანაწერების ასლები მოთხოვნისამებრ უნდა გადაეცეს პროექტის მენეჯერს.

### წინასწარ დაძაბული ხიმინჯები

14) წინასწარი დაჭიმვის გადაცემის შემდეგ დასაცემენტებელ წინასწარ დაძაბულ ხიმინჯებში მილისებისა და სასულეების მიმართ მოთხოვნებისგან განცალკევებით გამოიყენება დამატებითი მოთხოვნები წინასწარ დაძაბული ხიმინჯების მიმართ.

### ხსნარის ჩასხმის პროცედურები

15) ხსნარი უნდა შეირიოს, სულ მცირე, ორი წუთის განმავლობაში, ვიდრე არ მიიღწევა ერთგვაროვანი კონსისტენცია.

მიღები არ უნდა დაცემენდტეს, თუ ჩრდილში ტემპერატურა 3 C-ზე დაბალია.

დაცემენტების დაწყებამდე ყველა მილისი გულდასმით უნდა გაიწმინდოს შეკუმშული ჰაერით, რომელშიც არ უნდა იყოს ზეთები.

ხსნარი მილისში უნდა შევიდეს უდაბლესი წერტილის მახლობლად, ერთი უწყვეტი ოპერაციით და საშუალება მიეცეს მას გამოვიდეს გამოსასვლელიდან, სანამ მისი კონსისტენცია შემავალი ხსნარის კონსისტენციას არ გაუტოლდება. მილისების სასულეები უნდა შეესაბამებოდეს 1711-ე პუნქტს.

### ხსნარი

16) წინასწარ დაჭიმვისთვის განკუთვნილ ხსნარი შემდეგი თვისებებით უნდა ხასიათდებოდეს:

- a) ხიმინჯის ხსნარის საპროექტო მაჩვენებლები და კონსისტენცია ისეთი უნდა იყოს, რომ შესაძლებელი იყოს ნარევის გადაქაჩვა
- b) ხსნარი უნდა შედგებოდეს მხოლოდ ორტლანდ-ცემენტის C I, S 197-1-ის შესაბამისად, წყლისა და შემავსებლისგან. შემავსებლის გამოყენება დასაშვებია მწარმოებლის ინსტრუქციების მიხედვით და ის უნდა შეესაბამებოდეს 1703-ე პუნქტს.
- c) ხსნარში წყლის/ცემენტის თანაფარდობა რაც შეიძლება დაბალი უნდა იყოს, საჭირო კონსისტენციის გათვალისწინებით. წყლისა და ცემენტის თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 0.40-ს.
- d) ხსნარი არ უნდა ჟონავდეს 2%-ზე მეტად, 3 საათის შემდეგ ან, მაქსიმუმ, 4%-მდე, 18 C ტემპერატურაზე გაზომვისას, დახურულ მინის ცილინდრში, დაახლოებით 100 მმ დიამეტრითა და 100 მმ ხსნარის სიმაღლით. წყალი ხელახლა უნდა შთაინთქას 24 საათის შემდეგ.

### სამუშაო ხსნარის ტესტირება

17) კუბის სიმტკიცის ტესტირება უნდა ჩატარდეს S 12390-1-ის შესაბამისად. ნიმუში უნდა შედგებოდეს 100 მმ სიგრძის წიბოიანი ექვსი კუბისგან. 3 კუბის ტესტირება უნდა ჩატარდეს, შესაბამისად, 7-დღიანი და დარჩენილი სამის – 28-დღიანი მომწიფების შემდეგ.

### ხსნარის შეზავება

18) ასაწონი და წყლის გამანაწილებელი მექანიზმებისთვის ყოველთვის დაცული უნდა იყოს S 1305-ში აღწერილი საზღვრები.

ნარევის თითოეული კომპონენტის წონა უნდა იყოს პარტიის შესაბამისი წონის  $\pm 2\%$ -ის დასაშვები გადახრის ფარგლებში.

### ხსნარის შერევა

19) ცემენტის ხსნარები უნდა შეიერიოს მექანიკურად, შემდეგის გამოყენებით:

- a) მაღალსიჩქარიანი კოლოიდური მიქსერი (მინიმალური სიჩქარე = 1000 ბრუნი / წუთში)
- b) ნიჩბებიანი მიქსერი (მინიმალური სიჩქარე = 150 ბრუნი / წუთში)

ან სხვა შესაფერისი მიქსერი, საექსპლუატაციო მაჩვენებლების დამაკმაყოფილებლობის დამადასტურებელი საბუთით.

ხსნარი უნდა შეიერიოს ადგილზე, ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. ის მუდმივ მოძრაობაში უნდა იყოს გამოყენებამდე. ხსნარის გამოყენება უნდა მოხდეს შერევის დაწყებიდან 30 წუთის განმავლობაში. შერევის შემდეგ ხსნარი უნდა გატარდეს 5 მმ საცერში. თუ საცერზე კოშტები დარჩება, ხელახლა შეიერიოს.

### ხსნარის ტრანსპორტირება

20) მიქსერიდან ხიმინჯის ადგილამდე ხსნარის ტრანსპორტირებისას ხსნარი არ უნდა გაშრევდეს.

### ხსნარის ჩასხმა ცივ ამინდში

21) ხსნარის მინიმალური ტემპერატურა ჩასხმისას 5 C უნდა იყოს. ხსნარის გასაკეთებლად დაუშვებელია გაყინული და ყინულის შემცველი მასალების გამოყენება. ხსნარის ტრანსპორტირებისა და ჩასხმისთვის გამოყენებული მთელი აღჭურვილობა თავისუფალი უნდა იყოს ყინულისგან, რომელიც შეიძლება ხსნარში მოხვდეს.

### ჩანაწერები

22) კონტრაქტორმა უნდა აწარმოოს ჩანაწერები დაბეტონების შესახებ. ამ ჩანაწერებში უნდა შევიდეს თარიღი, ხსნარის პორპორცია და ნებისმიერი გამოყენებული დანამატი, წნევა, დეტალური ინფორმაცია შეფერხებებისა და ჩამატებების შესახებ. ამ ჩანაწერების ასლები მოთხოვნისამებრ უნდა გადაეცეს პროექტის მენეჯერს.

### ხიმინჯის ხარისხი

23) წარმოდგენილი უნდა იყოს ხიმინჯების მწარმოებლის ხარისხის სერტიფიკატი, რომელშიც მითითებული იქნება, რომ ამ სპეციფიკაციების მოთხოვნები დაკმაყოფილდა წარმოების დროს.

## ხიმინჯების მარკირება

24) თითოეული ხიმინჯი მარკირებული უნდა იყოს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი იდენტიფიკაცია მწარმოებლის ჩანაწერებში, სადაც მითითებული იქნება ჩამოსხმის თარიღი, ცემენტის ტიპი, ბეტონის სიმტკიცის კლასი, ელემენტების სიგრძე, წინასწარი დაჭიმვის ძალა, საჭიროებისამებრ, და ნებისმიერი სხვა შესაბამისი მონაცემები. მიწოდებისას ხიმინჯებს თან უნდა ახლდეს მწარმოებლის ეს ჩანაწერები. თითოეულ ხიმინჯზე აღნიშნული უნდა იყოს ჩაბმისა და აწვევის პოზიცია, პროექტის მოთხოვნების შესაბამისად.

## ხიმინჯების დამუშავება, ტრანსპორტირება და შენახვა

25) ხიმინჯების აწვევის, გადატანის, ტრანსპორტირებისა და შენახვის მეთოდი და თანამიმდევრობა ისეთი უნდა იყოს, რომ თავიდან იქნეს აცილებული დარტყმა დატვირთვისას და უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ხიმინჯები არ დაზიანდეს. გამოყენებული უნდა იქნეს პროექტით გათვალისწინებული აწვევისა და დაყრდნობის წერტილები. ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს ხიმინჯები სათანადოდ უნდა დაეყრდნოს აწვევის წერტილებში ან ისინი სრულად უნდა დაეყრდნოს მთელ სიგრძეზე.

შტაბელში ყველა ხიმინჯი უნდა იყოს ერთი სიგრძის. თანაბარი სისქის შუასაადებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხიმინჯებს შორის, აწვევის წერტილში.

არავითარ შემთხვევაში ბეტონი არ უნდა დაექვემდებაროს დატვირთვას, მათ შორის, მისი საკუთარი წონით, რომელიც განაპირობებს შემკუმშავ დაძაბულობას, რომელიც აღემატება მისი სიმტკიცის 0.33 ნაწილს დატვირთვის დროს, ან სიმტკიცის განსაზღვრულ სიდიდეს იმის მიხედვით, თუ ამ ორს შორის რომელია ნაკლები. ამ მიზნისთვის უნდა შეფასდეს ბეტონის სიმტკიცითა და დატვირთვით გამოწვეული დაძაბულობა.

ხიმინჯი დაწუნებული უნდა იქნეს, თუ ნებისმიერი განივი ბზარის სიგანე აღემატება  $S = 5400 : \text{ნაწ. 4-ის პირველ ცხრილში მოცემულ სიდიდეს}$ . გაზომვები უნდა ჩატარდეს ხიმინჯზე, მისი სამუშაო დანიშნულებისამებრ გამოყენების დროს.

## ჩასასობი ხიმინჯი

### ხიმინჯების სიმტკიცე

26) ხიმინჯები არ უნდა ჩაესოს მანამ, სანამ ბეტონის კუბები არ მიადწვევს მოცემულ დამახასიათებელ სიმტკიცეს ან ხიმინჯის სიმტკიცე საკმარისი არ იქნება იმისთვის, რომ გაუძლოს ჩასობისას მასზე მოქმედ დაძაბულობას, იმის მიხედვით, თუ რომელი იქნება მათ შორის უფრო მეტი.

### მიმმართველები და ჯოჯგინები

27) ყველა ეტაპზე ჩასობის განმავლობაში და კონსტრუქციაში განთავსებამდე ხიმინჯი ადეკვატურად უნდა იყოს დაკავებული და დაბმული მიმმართველების, ჯოჯგინების, დროებითი საყრდენებისა თუ სხვა დამხმარე საშუალებებით ხიმინჯის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

**ჩასასობი აღჭურვილობის (ურნალების) წარმადობის მაჩვენებლები**

28) კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მისი ჩასასობი აღჭურვილობის წარმადობისა და ენერგეტიკული მაჩვენებლების შესახებ, მათ შორის, როდესაც გამოიყენება მიმმართველები (მიმყოლები). წარმოდგენილი უნდა იყოს დინამიკური შეფასება და ანალიზი.

როდესაც გამოიყენება ხიმინჯის ჩასობი ურო, უროს მასა უნდა იყოს, სულ მცირე, ამ ხიმინჯის ან ხიმინჯის სექციის მასის ნახევარი. სხვა ტიპის უროებისთვის ენერგია, რომელიც ხიმინჯს გადაეცემა, ერთ დარტყმაზე, სულ მცირე, იმ ენერგიის ტოლი უნდა იყოს, რომელსაც გადასცემს მითითებული მასის დაცემის ურო. დაცემის უროების გამოყენება არ შეიძლება მოტივირებული იქნებოდეს, რადგან შეიძლება გამოიწვიოს ობიექტის წონასწორობის დარღვევა ან ხიმინჯის დაზიანება.

ყველა ხიმინჯი ჩასობილი უნდა იქნეს იგივე უროს, იგივე ენერგიის გამოყენებით, რაც გამოყენებული იქნა საცდელ ხიმინჯზე. გამოყენებული უნდა იქნეს საცდელი ხიმინჯის მონაცემები ხიმინჯების ჩასობის დროს.

**ხიმინჯების სიგრძე**

29) ჩასასობი ხიმინჯის სიგრძე ნებისმიერ პოზიციაში მითითებული უნდა იქნეს კონტრაქტორის ნახაზებზე. სამუშაოების განხორციელების დროს სიგრძეების სქემის ნებისმიერი შესწორება უნდა დააფიქსიროს კონტრაქტორმა და სრული ჩანაწერები შეიტანოს ხიმინჯის შესახებ ჩანაწერში.

**ხიმინჯების ჩასობის პროცედურები და შემოწმებები**

30) ხიმინჯის ჩასობის პროცედურა უნდა გამორიცხავდეს ხიმინჯის დაზიანებას.

თითოეული ხიმინჯი უნდა ჩაესოს უწყვეტად, პროექტით გათვალისწინებული სიღრმის მიღწევამდე. იმ შემთხვევაში, თუ არ შეიძლება ჩასობის შეჩერების თავიდან აცილება, ხიმინჯი შეიძლება ამოღებულ იქნეს, იმ პირობით, რომ შემდეგ ისევ ჩაასობენ პროექტით გათვალისწინებულ სიღრმემდე, ან წინააღმდეგობამდე, დაზიანების გარეშე. მიმმართველები არ უნდა იქნეს გამოყენებული, თუ საჭირო არ იქნება ერთ დარტყმაზე ჩასვლის სიღრმის გადასინჯვა, იმის გასათვალისწინებლად, რომ ჩაქუჩის დარტყმების ეფექტიანობა მცირდება.

ჩასობის შესახებ ჩანაწერები უნდა გაკეთდეს ყველა ხიმინჯისთვის. ჩანაწერებში მითითებული უნდა იყოს უროს მასა, დაცემის სიმაღლე და დარტყმების რიცხვი შეღწევის ყოველ 0.25 მ-ზე.

ნებისმიერი მოულოდნელი ცვლილება ჩასობის მახასიათებლებში უნდა დაფიქსირდეს ჩანაწერში.

**ერთ დარტყმაზე ჩასვლის სიღრმე**

31) ერთ დარტყმაზე ჩასვლის სიღრმე და დროებითი შეკუმშვა უნდა გაიზომოს და დაფიქსირდეს თითოეული ხიმინჯისთვის, ჩასობის დამთავრებისას, თუ არ არის პროექტის მენეჯერის რაიმე სხვა ინსტრუქცია.

როდესაც იზომება ერთ დარტყმაზე ჩასვლის სიღრმე, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოთხოვნები:

- a) ხიმინჯის ის ნაწილი, რომელზეც ზემოქმედება ხდება, კარგ მდგომარეობაში უნდა იყოს და არ უნდა ჰქონდეს დაზიანებები.
- b) ხიმინჯის სათავისი, დამჭერი და ნებისმიერი შესაფუთი საშუალება გამართულ მდგომარეობაში უნდა იყოს.
- c) ჩაქუჩი უნდა ირტყებოდეს ხიმინჯის ღერძის გასწვრივ. დარტყმის ზედაპირი უნდა იყოს ბრტყელი, მართი კუთხით, ხიმინჯისა და უროს ღერძის მიმართ.
- d) ურო კარგ მდგომარეობაში უნდა იყოს, უზრუნველყოფდეს ადეკვატურ ენერჯიას ერთ დარტყმაზე და მუშობდეს სწორად.
- e) ხიმინჯის დროებითი შეკუმშვა უნდა დაფიქსირდეს, თუ ამას მოითხოვს პროექტის მენეჯერი.

ერთ დარტყმაზე ჩასვლის სიღრმე უნდა დაფიქსირდეს, როგორც შეღწევა, მილიმეტრებში, ათ დარტყმაზე, ან როგორც დარტყმების რაოდენობა, რომელიც საჭიროა 25 მმ-ზე შეღწევის უზრუნველსაყოფად.

### ჩასობის თანამიმდევრობა და ამოწეული ხიმინჯები

32) ხიმინჯები ისეთი თანამიმდევრობით უნდა ჩაესოს, რომ თავიდან იქნეს აცილებული გრუნტის ვიბრაციისა და წანაცვლების ნებისმიერი უარყოფითი ეფექტი. ხიმინჯების ჩასობის თანამიმდევრობა და მეთოდი, წინასწარი გაბურღვის ჩათვლით, უნდა ზღუდავდეს ზემოთ ამოწევასა და გვერდით წანაცვლებას, ისე რომ, თითოეული ხიმინჯის საბოლოო პოზიცია მითითებული დაშვების ფარგლებში იყოს. თითოეული ხიმინჯის გადახრა მისი ღერძიდან, ჩასობის შემდეგ, ყოველთვის ისეთი უნდა იყოს, რომ არ გამოიწვიოს ხიმინჯის, ნებისმიერი სხვა სტრუქტურის ან სამსახურის დაზიანება და არ შეამციროს მისი გამძლეობა.

თითოეული ხიმინჯის მაქსიმალური დასაშვები ამოწევა ნებისმიერი სხვა ხიმინჯის ჩასობის გამო, რომლის ცენტრი პირველი ხიმინჯის ცენტრიდან დაშორებულია რვა დიამეტრის მანძილზე, ან მოცემულ მანძილზე, შეადგენს 3 მმ-ს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაძლებელია იმის დემონსტრირება, სტატიკური დატვირთვის ტესტირების მეშვეობით, რომ ამ სიდიდეზე მეტად ამოწევა არ იმოქმედებს ხიმინჯის მიერ ამ სპეციფიკაციების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მონტაჟის დროს წინასწარი ხიმინჯების ამოწევა ნებადართული მაქსიმუმის ფარგლებშია და ტესტირებული წინასწარი ხიმინჯი აკმაყოფილებს ამ სპეციფიკაციების მოთხოვნებს, კონტრაქტორმა უნდა შეამოწმოს ხიმინჯების ამოწევა, სულ მცირე, კვირაში ერთხელ, ხიმინჯების ჩასობის სამუშაოების მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში და დააფიქსიროს შედეგები.

თუ წინასწარი ხიმინჯები არ მონტაჟდება, კონტრაქტორმა უნდა დაიწყოს მუშა ხიმინჯების მონტაჟი, ამოწევის შემცირების აღმოფხვრის ზომების დაცვით,

სანამ ადგილზე გაზომვებით არ დადგინდება, რომ ასეთი ზომების მიღება საჭირო არ არის. ამის შემდეგ კონტრაქტორმა ამოწვეა უნდა შეამოწმოს კვირაში ერთხელ და დააფიქსიროს შედეგები.

თუ სტატიკური დატვირთვის ტესტი უჩვენებს, რომ ხიმინჯი, რომელიც მაქსიმალურ ნებადართულ მაჩვენებელზე მეტად ამოიწია მისგან რვა დიამეტრის ფარგლებში ნებისმიერი სხვა ხიმინჯის ჩასობის გამო და ის აღარ აკმაყოფილებს სპეციფიკაციების მოთხოვნებს, ყველა ის ხიმინჯი, რომელიც შეიძლება ამოწვეულიყო, თავიდან უნდა ჩაესოს.

თუ ჩანაწერები და გაზომვები უჩვენებს, რომ ხიმინჯები წანაცვლდა, ისე რომ, ისინი აღარ შეესაბამება დაშვებებს, ან დაზიანდა, კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს გეგმა, რომლის მიღებასაც აპირებს, რათა ხიმინჯებმა დააკმაყოფილოს სპეციფიკაციების მოთხოვნები.

გვერდით წანაცვლებული ხიმინჯები არ უნდა გასწორდეს მის სათავისზე ძალდატანების გზით.

### **წინასწარ გაბურღვა**

33) თუ გათვალისწინებულია წინასწარ გაბურღვა, წინასწარი ბურღილის დიამეტრი და სიღრმე უნდა შეესაბამებოდეს ნახაზებზე წარმოდგენილ მაჩვენებლებს.

შეიძლება გამოყენებული იყოს ხიმინჯების ჩასობის გასაადვილებელი სხვა საშუალებები, იმ პირობით, რომ დამთავრებული ხიმინჯი დააკმაყოფილებს ამ სპეციფიკაციების მოთხოვნებს.

### **ხიმინჯების რემონტი და დაგრძელება**

#### **ხიმინჯების დაზიანებული სათავისების რემონტი**

34) თუ საბოლოო დონეზე ჩასობამდე საჭიროა ხიმინჯის სათავისების რემონტი, კონტრაქტორმა უნდა ჩაატაროს ასეთი რემონტი, ისე რომ შესაძლებელი იყოს ამ ხიმინჯის ჩასობის დამთავრება შემდგომი დაზიანების გარეშე. თუ ხიმინჯის ჩასობა დასრულდება, მაგრამ ხიმინჯის ბეტონის დონე უფრო დაბალია, ვიდრე საჭირო მოჭრის დონე, ხიმინჯი უნდა მიყვანილ იქნეს შესაბამის მოჭრის დონემდე, ან ხიმინჯის თავი, ან მისი ქვესტრუქტურა შეიძლება ადგილობრივად ჩადრმავდეს, ისე რომ დამთავრებულმა ფუნდამენტმა გაუძლოს მოცემულ სამუშაო დატვირთვას.

#### **ქარსნული დამზადების არმირებული და წინასწარ დაჭიმული არმირებული ბეტონის ხიმინჯები**

35) კონტრაქტორმა პროექტში უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი პირობები ხიმინჯის დაგრძელებისთვის, რომლებიც დამზადების დროს განისაზღვრა, რათა მან გაუძლოს ყველა იმ ძაბვას, რომელსაც ის დაექვემდებარება.

თუ ხიმინჯის დაგრძელებისთვის მისი დამზადების დროს არ განსაზღვრულა პირობები, დაგრძელების მეთოდი ისეთი უნდა იყოს, რომ დაგრძელებულმა ხიმინჯმა, სამაგრების ჩათვლით, უსაფრთხოდ გაუძლოს ძაბვებს ჩასობისა და დატვირთვის დროს.



### **სეგმენტური ხიმინჯების დაგრძელება**

36) თუ ხიმინჯი ჩაესო ნავარაუდევზე უფრო დიდ სიღრმეზე და მომდევნო სამუშაოებისთვის საკმარისი სიგრძე აღარ დარჩა, ხიმინჯი უნდა დაგრძელდეს ან შეიცვალოს, ისე რომ დამთავრებულმა ხიმინჯმა დააკმაყოფილოს სპეციფიკაციების მოთხოვნები.

### **გარემონტებული ან დაგრძელებული ხიმინჯების ჩასობა**

37) გარემონტებული ან დაგრძელებული ხიმინჯების ჩასობა რა უნდა მოცდეს მანამ, სანამ დამატებითი ბეტონის კუბები არ მიაღწევს ხიმინჯის ბეტონისთვის მოცემულ მახასიათებელ სიმტკიცეს.

### **ხიმინჯების სათავისების დაცემენტება**

38) როდესაც ხიმინჯის ჩასობა აკმაყოფილებს სპეციფიკაციების მოთხოვნებს, ბეტონი ხიმინჯის სათავისზე უნდა მოიჭრას მოცემულ დონემდე. ამ დონის ზემოთ არსებული არმატურის ღეროები უნდა შეესაბამებოდეს მითითებებს.

საჭიროა სიფრთხილის დაცვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხიმინჯის დარჩენილი ნაწილის დამტვრევა ან სხვაგვარად დაზიანება. ნებისმიერი ნასკდომები ან ბეტონის დეფექტები უნდა მოიჭრას და ხიმინჯი გარემონტდეს, რათა მოსაჭრელ დონემდე სექცია მთლიანი და ხარისხიანი იყოს.

## **1603 ნახურლი მონოლითური ბეტონის ხიმინჯი**

### **დამხმარე სითხე**

1) იქ, სადაც გამოიყენება დამხმარე სითხე გათხრილი ადგილების სტაბილურობის შესანარჩუნებლად, ის უნდა შეესაბამებოდეს 1618-ე პუნქტს.

### **ხიმინჯების დიამეტრი**

2) ხიმინჯის დიამეტრი არ უნდა იყოს მითითებულ დიამეტრზე ნაკლები.

ბურღის სივანე უნდა შემოწმდეს საჭიროებისამებრ და დაფიქსირდეს თითოეული ხიმინჯისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოცემული დიამეტრის მიღწევა. ნებადართულია +5% -0 დაშვება ბურღის სივანისთვის.

### **ბურღვა**

#### **ბურღვა ახლად დამზადებული ხიმინჯების მახლობლად**

3) ხიმინჯები უნდა გაიბურღოს იმ თანამიმდევრობით და ისე, რომ არ დაზიანდეს მის წინ გაკეთებული ხიმინჯი.

### **ყალიბები**

4) დროებითი ყალიბები უნდა დამზადდეს ხარისხიანი მასალისგან, ადეკვატური სიგრძისა და სისქის, რათა ხელი შეუშალოს წყლისა და არამდგრადი მიწის შესვლას ხიმინჯის ორმოებში. მოკლე დროებითი ყალიბები უზრუნველყოფილი

უნდა იყოს ყველა ხიმინჯისთვის, რათა უზრუნველყოს, სულ მცირე, 1 მ სიმაღლე გრუნტის დონიდან, უსაფრთხოებისთვის და ბურღილში ბეტონის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

დროებითი ყალიბები უნდა უზრუნველყოფდეს ამოთხრილი ადგილების მიერ მათი სრული ზომების შენარჩუნებას და იმის უზრუნველყოფას, რომ ხიმინჯი გააკეთდება მისი განიგვეთის ზომების სრული დაცვით.

ვიბრატორის გამოყენება დროებითი ყალიბების მოთავსებისა და ამოღებისთვის უნდა შეესაბამებოდეს 1601.28 ქვეპუნქტს და უნდა შესრულდეს მეთოდით, რომელიც არ გამოიწვევს გრუნტის “შეშფოთებას”, რასაც შეიძლება უარყოფითი შედეგები მოჰყვეს ხიმინჯის მშენებლობის ან მახასიათებლებისთვის.

დროებით ყალიბებს არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი დაზიანებები. ისინი უნდა იყოს თანაბარი განიგვეთის მთელ სიგრძეზე. დაბეტონების დროს მათზე არ უნდა იყოს შიდა შვერილები და მიმხმარი ბეტონი, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ხიმინჯის სათანადოდ ფორმირებაზე.

იქ, სადაც ხიმინჯებისთვის კეთდება ბურღილები წყალქვეშ ან დამხმარე სითხეში, მოუპირკეთებლად, დაუშვებელია სრული სიგრძის თავისუფალი ყალიბის მორგება ბურღილზე ბეტონის ჩასხმამდე.

განხილული უნდა იყოს მუდმივი ყალიბების გამოყენება.

### **ხიმინჯების ორმოების სტაბილურობა**

5) თუ ბურღვა ხდება არამდგრად წყლიან შრეში, გათხრის პროცესი, დამხმარე სითხე და დროებითი ყალიბის სიღრმე ისეთი უნდა იყოს, რომ მიწამ გარედან ვერ შეაღწიოს ხიმინჯის სექციაში და დროებითი ყალიბის გარეთ არ შეიქმნას ღრუები.

იქ, სადაც გამოიყენება დამხმარე სითხეები ბურღილის მდგრადობის შესანარჩუნებლად, უნდა გამოიყენებოდეს სათანადო დროებითი ყალიბი, დამხმარე სითხესთან ერთად, მიწის დონეზე შრეების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ბეტონის ჩასხმამდე. მშენებლობის დროს საბურღი სითხის დონე ხიმინჯის თხრილში უნდა შენარჩუნდეს ყალიბში ან მდგრად ბურღილში, ისე რომ ის ყოველთვის არანაკლებ 2 მ სიმაღლეზე იყოს გარე გრუნტის წყლების დონიდან.

### **გადაქაჩვა ხიმინჯების ორმოებიდან**

6) ხიმინჯების ბურღილებიდან გადაქაჩვა არ უნდა დაეუშვათ მანამ, სანამ არ მოხდება ბურღილის ჰერმეტიზაცია მასში წყლის შეღწევისგან დასაცავად ყალიბის მეშვეობით, ან თუ გრუნტი არ იქნება მდგრადი, რაც შესაძლებელს გახდის გადაქაჩვას გრუნტის “შეშფოთების” გარეშე ხიმინჯის ქვეშ ან გარშემო.

### **მშენებლობის უწყვეტობა**

7) ბურღილი უნდა გააკეთდეს და ბეტონი ჩაისხას ისეთი შეფერხებების გარეშე, რომლებიც ხიმინჯის საექსპლუატაციო პარამეტრების გაუარესებას გამოიწვევს.

თითოეული ხიმინჯისთვის ორმოს ამოთხრასა და ბეტონის ჩასხმას შორის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს. პერიოდი უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც დაიწყება დროებითი გაყვანილობის მიღებს ქვემოთ გათხრა. იქ, სადაც სამშენებლო სამუშაოების თანამიმდევრობა ისეთია, რომ 12-საათიანი პერიოდი არ იქნება დაცული, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამუშაოები შეუფერხებლად შესრულდება, კონტრაქტორის მეთოდურ დოკუმენტში უნდა დაფიქსირდეს რეალური დრო, რომლის განმავლობაშიც გაითხრება და ბეტონი ჩაისხმება. კონტრაქტორმა უნდა მიიღოს კონსულტაცია ხიმინჯების მშენებლობის ასეთი გახანგრძლივებული პერიოდის ხიმინჯისა და მისი საექსპლუატაციო პარამეტრებისთვის სავარაუდო შედეგების თაობაზე.

### ხიმინჯების გადიდებული ფუნდამენტები

8) მექანიკურად ჩამოყალიბებული გადიდებული ფუნდამენტები არ უნდა იყოს მითითებულ ზომებზე პატარა და კონცენტრული უნდა იყოს ხიმინჯის ღერძის, მისი დიამეტრის 10% დაშვების ფარგლებში. გადიდებული ფუნდამენტის წაკვეთილი კონუსის დახრილი ზედაპირი უნდა ქმნიდეს არა უმეტეს 35 - იან კუთხეს ხიმინჯის ღერძთან.

მითითებულ დიამეტრზე, საძირკვლის პერიმეტრთან, მინიმალური სიმაღლე 150 მმ უნდა იყოს.

### შემოწმება

9) ხიმინჯის თითოეულ ბურღილში, რომელშიც არ არის მდგარი წყალი ან დამხმარე სითხე, ბეტონის ჩასხმამდე უნდა შემოწმდეს გრუნტის ზედაპირი, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ფუნდამენტი სუფთა იყოს. გამოყენებული უნდა იქნეს განათების ადეკვატური საშუალებები, საზომი ლენტები და ვერტიკალურობის შესამოწმებელი საშუალებები. 750 მმ ან უფრო დიდი დიამეტრის ხიმინჯისთვის და იქ, სადაც მითითებულია პერსონალის მიერ ხიმინჯის საძირკვლის შემოწმება, კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ადჭურვილობა, რომელიც მის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს შემოწმების მიზნით ჩავიდნენ ბურღილში. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ყველა საჭირო საშუალება ნებისმიერი ხიმინჯის თხრილის შესამოწმებლად, სიღრმის, ვერტიკალურობისა და პოზიციის შესამოწმებელი საშუალებების ჩათვლით. დაცული უნდა იქნეს S 8008-ის ყველა მოთხოვნა.

კონტრაქტორმა უნდა დანიშნოს ზედამხედველი, რომელიც თითოეულ შემოწმებას გაუწევს ზედამხედველობას. მას უნდა ჰქონდეს S 8008-ის ეგზემპლარი და უზრუნველყოს, რომ ყველა მონაწილე პირი იცნობდეს მის მოთხოვნებს.

### ხიმინჯების ფუნდამენტების გაწმენდა

10) ბურღილის დამთავრების შემდეგ ფხვიერი ან დარბილებული მიწა შესაბამისი მეთოდებით უნდა მოშორდეს ბურღილიდან, რაც გათვალისწინებულია გაწმენდისთვის გრუნტის მინიმალური შემფოთებით ხიმინჯების ფუნდამენტის ქვემოთ. დასუფთავების ოპერაციის განმავლობაში და მის შემდეგ წყალი ან დამხმარე სითხე ისეთ დონეზე უნდა შენარჩუნდეს, რომ დაცული იყოს ბურღილის სტაბილურობა. ყოველთვის, როდესაც ხიმინჯის სათავისი არ არის გათვალისწინებული, ბურღილი მკაფიოდ უნდა იყოს მარკირებული და შედობილი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

## არმატურა

11) ფოლადის არმატურა უნდა შეესაბამებოდეს 1700 სერიას. იქ, სადაც არმირებისთვის გამოიყენება ფოლადის სექციები, ისინი უნდა შეესაბამებოდეს 1800-ს.

ფოლადის გრძივ ღეროებში შეერთებების რიცხვი მინიმალური უნდა იყოს. ფოლადის არმატურის შეერთებები ისეთი უნდა იყოს, რომ თითოეული ღეროს სიმტკიცე შენარჩუნებული იქნეს შეერთებებზე და არ მოხდეს არმატურის დაუშვებელი წანაცვლება ხიმინჯის მშენებლობის დროს. შენარჩუნებული უნდა იყოს არმატურის სწორი პოზიცია ხიმინჯის მშენებლობის დროს, +150/-50 მ ვერტიკალური დაშვებით, იმ დონეზე, სადაც არმატურა გამოდის საბოლოო გადაჭრის დონის ზემოთ. იქ, სადაც არმატურა გალიის სახისაა, ის საკმარისად ხისტი უნდა იყოს იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს მისი ადვილად დამუშავება, განთავსება და დაბეტონება დაზიანების გარეშე. თუ გალიები უნდა შედუღდეს, შედუღება უნდა მოხდეს S 7123-ის შესაბამისად.

არმატურა უნდა შედიოდეს ხიმინჯის ფუნდამენტში, ან, სულ მცირე, 3 მ-ზე, დროებითი ყალიბის ფსკერს ქვემოთ, იმის მიხედვით, თუ რომელია მათ შორის ნაკლები.

გამბჯენები უნდა დაპროექტდეს და დამზადდეს გამძლე მასალის გამოყენებით, რომელიც არ გამოიწვევს არმატურის კოროზიას ან ბეტონის დასკდომას. პროექტის მენეჯერთან მოსაწონებლად წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ვარაუდობს კონტრაქტორი არმატურის სწორად განთავსებასა და მის სწორად დაფარვას.

## ბეტონი

### ზოგადი

12) ცემენტის მასალა, შემავსებელი, მინარევეები და წყალი უნდა შეესაბამებოდეს 1700 სერიას. ბეტონის კონსისტენცია და მისი ჩასხმის მეთოდი ისეთი უნდა იყოს, რომ შეიქმნას უწყვეტი, მონოლითური ბეტონის ან ხსნარის ძელი, სრული განიკვეთით. ბეტონი გადატანილი უნდა იყოს მიქსერიდან ხიმინჯის პოზიციამდე, ისე რომ არ ბეტონის ნაწილები ერთმანეთს არ მოსცილდეს.

ბეტონი უნდა ჩაისხას შეფერხებების გარეშე, ისე რომ ადრე ჩასხმულმა პარტიამ ვერ მიაღწიოს ისეთ სიხისტეს, როდესაც ბეტონის ორი პარტია სათანადოდ ვერ გაერთიანდება.

კონტრაქტორმა ყველა ზომა უნდა მიიღოს იმისთვის, რომ ბეტონის ნარევის დიზაინი და მისი ჩასხმა გამორიცხავდეს ბეტონის ამობურცვას. არ უნდა დაეუშვათ ბეტონის დაბინძურება რაიმე სითხით, მიწით ან უცხო მასალით.

### ბეტონის კონსისტენცია

13) კონსისტენცია, რომელიც გაიზომება ხიმინჯის ბურღილში ჩასხმისას, უნდა შეესაბამებოდეს 16-2 ცხრილში მოცემულ ფარგლებს.

## დატკეპნა

14) ბეტონის დასატკეპნად არ უნდა გამოიყენებოდეს შიდა ვიბრატორები.

## ბეტონის განთავსება მშრალ ბურღილებში

15) ზომები უნდა იქნეს მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა ხიმინჯისთვის ჩასხმული ბეტონის სტრუქტურული სიმტკიცე არ შემცირდეს ხსნარის კარგის, დაყოფისა თუ ჟონვის გამო.

ბეტონის ჩასხმის მეთოდი უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ბეტონი ან ხსნარი, მის საბოლოო მდგომარეობაში, მკვრივი და ჰომოგენური იყოს. ბეტონი უნდა შევიდეს ხიმინჯში ჩასატვირთი ძაბრითა და შესაფერისი სიგრძის ხისტი მილით, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბეტონი ჩადის ვერტიკალურად და ცენტრალურად. მილის სიგრძე, სულ მცირე, 3 მ უნდა იყოს.

## ბეტონის ჩასხმა წყალქვეშ ან დამხმარე სითხის ქვეშ

16) ბეტონის ჩასხმამდე მიღებული უნდა იყოს ზომები 1603.10 პუნქტის შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ბურღილის ძირში არ იყოს შლამის ან მასალის გროვები. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ ორმოს ძირში არ დაგროვდეს დაბინძურებული დამხმარე ხსნარი, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ბეტონოლიტურ მილში ბეტონის დინებას.

ბურღილის ზედა და ქვედა ნაწილებიდან შესაბამისი მოწყობილობით აღებული უნდა იყოს დამხმარე სითხის ნიმუშები. სითხე უნდა მომზადდეს, გაკეთდეს სინჯები და ჩაუტარდეს ტესტირება, როგორც მითითებულია კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. თუ ტესტები უზენაესს, რომ სითხე არ აკმაყოფილებს ლიმიტებს, რომლებიც კონტრაქტორმა დააწესა დამხმარე სითხის გარკვეული ტიპისთვის, დამხმარე სითხე მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა შეიცვალოს, საჭიროებისამებრ, ბეტონის ჩასხმამდე.

წყლის ან დამხმარე სითხის ქვეშ ბეტონი უნდა ჩაისხას ბეტონოლიტური მილით, ერთი უწყვეტი ოპერაციით და თავისუფლად არ უნდა ჩაისხას წყალში ან დამხმარე სითხეში. საჭიროებისამებრ, შეიძლება გამოყენებული იყოს ბეტონის გადაქაჩვა. ბეტონოლიტური მილის ქვედა ბოლო კვადრატული უნდა იყოს. მილის ღერძის მიმართ და მისი გარშემოწერილობა უწყვეტი უნდა იყოს. ბეტონოლიტური მილი მთლიანად უნდა შეივსოს ბეტონით, სანამ მას ხიმინჯის ფუნდამენტიდან ასწევდნენ.

ბეტონი უნდა იყოს მაღალი კონსისტენციის. ცემენტის შემცველობა უნდა შეესაბამებოდეს 1700 სერიას და 16/2 ცხრილს, ნარევი C.

ბეტონი ისე უნდა ჩაისხას, რომ მისი შემადგენელი მასალები ერთმანეთისგან არ განცალკევდეს.

ცხრილი 16/2: ხიმინჯების ბეტონის ნარევის კონსისტენცია

ბეტონის ნარევის კონსისტენცია	კონსისტენცია		გამოყენების ტიპური პირობები (ბეტონისა და შემავსებლის კლასი უნდა შეესაბამებოდეს არმატურის დაშორებას)
	დენადობის კლასი, დიაპაზონი მმ	ჯდენის კლასი, დიაპაზონი მმ	
C	არა	S2-S4 გამოყენებადი	ასხამენ 600 მმ ან მეტ დიამეტრიან უწყლო, შიგნიდან გამოუკრავ ან მუდმივად შიგნიდან გამოკრულ ბურღილში, ან იქ, სადაც ჩასხმის დონე დროებითი ყალიბის ქვემოთაა, არმატურის დაშორებით 199 მმ-ზე ან მეტზე, საკმარისი თავისუფალი ადგილით, ბეტონის მოძრაობისთვის, ღეროებს შორის.
	3- 4	*S3-S5b**	სადაც არმატურის ღეროებს შორის დაცილება 100 მმ-ზე ნაკლებია, ბეტონის გადაჭრის დონე დროებითი ყალიბის შიგნიდან, სადაც ხიმინჯის ბურღილებში არ არის წყალი და მისი დიამეტრი 600 მმ-ზე ნაკლებია.
	4- 5	*S4 ან მეტი	სადაც ბეტონი უნდა ჩაისხას წყალქვეშ ან დამხმარე სითხის ქვეშ, ბეტონოლიტური მილით ან გადაქაჩვით

შენიშვნა 1: \* ჯდენის მეთოდი არ შეესაბამება ამ ძალზე მაღალ კონსისტენციას. უპირატესობა დენადობის ტესტს უნდა მიენიჭოს.

\*\* ტესტირების მეთოდმა შეიძლება დაკარგოს მგრძობიარობა ამ კლასისთვის.

ბეტონის ზედაპირიდან სიღრმე უნდა გაიზომოს და ბეტონოლიტური მილების სიგრძე დაფიქსირდეს რეგულარულად, ბეტონის ყოველი პარტიის ჩასხმის შესაბამისად. გაზომილი სიღრმეები და ჩასხმული მოცულობები დაუყოვნებლივ უნდა დაფიქსირდეს გრაფიკზე და შედარდეს სიღრმესა და მოცულობას შორის თეორიულ დამოკიდებულებას.

ჩასატვირთი ძაბრი და ბეტონოლიტური მილი უნდა იყოს სუფთა, არ ატარებდეს წყალს. მილი უნდა ჩასცდეს ბურღილის ფუნდამენტს. მცოცავი საცობი ან ბარიერი უნდა მოთავსდეს მილში, რომ ბეტონოლიტურ მილში პირველად ჩასხმულ ბეტონსა და წყალს ან დამხმარე სითხეს შორის კონტაქტი გამოირიცხოს. მილი ყოველთვის უნდა აღწევდეს ბეტონში, რომელიც ადრე ჩაისხა, სულ მცირე, 3 მ-ზე და არ უნდა იქნეს ამოღებული ბეტონიდან დაბეტონების დამთავრებამდე. მილში უნდა დარჩეს ბეტონის საკმარისი რაოდენობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მის მიერ განხორციელებული წნევა აღემატება წყლის ან დამხმარე სითხის წნევას. ბეტონოლიტური მილის შიდა დიამეტრი არ უნდა აღემატებოდეს 150 მმ-ს ან შემავსებლის ექვსმაგ ზომას. მისი დიზაინი ისეთი უნდა იყოს, რომ მინიმუმამდე შემცირდეს გარეთ მისი გამოშვება, რაც ბეტონოლიტურ მილს საშუალებას მისცემს დაზიანების გარეშე გაიაროს არმატურის გალიებში. მილის შიდა ზედაპირზე არ უნდა იყოს შვერილები.

ყალიბის მოხსნა

ბეტონის კონსისტენცია

17) დროებითი ყალიბის ამოღება უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც ბეტონის კონსისტენცია საკმარისი იქნება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბეტონი არ ამოიწვეს. ამოღებისას ყალიბი ღერძული მიმართულებით უნდა მოვაშოროთ ხიმინჯს.

**ბეტონის დონე**

18) ყალიბის ამოღებისას მასში უნდა დარჩეს ბეტონის საკმარისი რაოდენობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ წნევა აღემატებოდეს გარეშე წყლის, დამხმარე სითხის ან მიწის წნევას და რომ ხიმინჯი არც შემცირდება და არც დაბინძურდება.

ცხრილი 16/3. ყალიბის მიმართ დაშვებები გადაჭრის დონის ზემოთ ხიმინჯებისთვის, რომლებიც ჩამოსხმება მშრალ ბურღილებში დროებითი ყალიბის გამოყენებით მუდმივი ფუტერების გარეშე.

გადაჭრის დაშორება საწყისი ზედაპირიდან, $m$	ყალიბის დაშვება გადაჭრის დონის ზემოთ, $m$
0.15 - 10.00	$0.3 + \sqrt{12+C/8}$ , სადაც $C$ = დროებითი ყალიბის სიგრძეა ზედაპირის საწყისი დონის ქვემოთ *

+ = 10 მ-ის ზემოთ გამოყენებული ყალიბის დაშვება უნდა იყოს = 10მ-ისთვის.

\* თუ უფრო მეტია, ვიდრე  $C$ , მაშინ ეს დაშვება აღარ უნდა გამოიყენებოდეს. მის ნაცვლად უნდა გამოიყენებოდეს 16/4 ცხრილში მოცემული დაშვებები.

ცხრილი 16/4. ჩასხმის დაშვება გადაჭრის დონის ზემოთ, ხიმინჯის ბეტონის ჩასხმისას მშრალ ბურღილებში, მუდმივი ფუტერების მიღებში, ან მუდმივ ყალიბებში, ან იქ, სადაც გადაჭრის დონეები მდგრად გრუნტშია, ნებისმიერი გამოყენებული ყალიბის ძირის ქვემოთ.

გადაჭრის დაშორება საწყისი ზედაპირიდან, $m$	ყალიბის დაშვება გადაჭრის დონის ზემოთ, $m$
0.15 - 10.00	$0.3 + \sqrt{10}$

+ = 10 მ-ის ზემოთ გამოყენებული ყალიბის დაშვება უნდა იყოს = 10 მ-ისთვის.

ცხრილი 16/5. ყალიბის დაშვება გადაჭრის დონის ზემოთ, ხიმინჯებისთვის, რომლებიც წყლის ან დამხმარე სითხის ქვეშაა ჩასხმული \*

გადაჭრის დაშორება საწყისი ზედაპირიდან, $m$	ყალიბის დაშვება გადაჭრის დონის ზემოთ, $m$
0.15 - 10.00	$1.0 + \sqrt{12 + C/8}$ სადაც $C$ = დროებითი ყალიბის სიგრძეა საწყისი ზედაპირის ქვემოთ*

+ = 10 მ-ის ზემოთ გამოყენებული ყალიბის დაშვება უნდა იყოს = 10მ-ისთვის.

\* იმ შემთხვევებში, სადაც ხიმინჯის ჩამოსხმა ხდება ისე, რომ გადაჭრის დონე მუდმივი ფუტერების მილის შიგნითაა, შესაბამისი დაშვება მოცემულია ცხრილის ფორმულაში  $C/8$ -ის წაშლით (ამორიცხვით).

ყალიბის ამოღების დროს ბეტონის დონე შეიძლება საჭიროებისამებრ ამაღლდეს დროებით ყალიბში ან მშრალ ბურღილში, ისე რომ, ხიმინჯის ჩამოსხმის დამთავრებამდე ყალიბის ძირი ყოველთვის ბეტონის ზედაპირის ქვემოთ იყოს.

საჭიროა სიფრთხილის აღეკვადური ზომების მიღება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც შეიძლება ყალიბის ამოღების შემდეგ იყოს ჭარბი წყალი ან დამხმარე სითხე, თუ მას გამოდევნის ბეტონი, რადგან ის საბოლოო პოზიციას იკავებს ხიმინჯის ბურღილის კედლების მიმართ. იქ, სადაც კონსტრუქციაში გამოიყენება ყალიბის ორი ან მეტი სიგრძე (ორმაგი ყალიბი), კონტრაქტორის მუშაობის მეთოდმა უნდა უზრუნველყოს ხიმინჯების სრული განივკვეთის მიღწევა. ბეტონის საშუალო დონემდე სიღრმე უნდა გაიზომოს დროებითი ყალიბების მოხსნამდე და მოხსნის შემდეგ. ეს ჩანაწერები ხიმინჯის შესახებ ჩანაწერებში უნდა შევიდეს.

## სათავისების ჩამოსხმის დონის დაშვებები

19) მშრალ ბურღილებში დროებითი ყალიბების გამოყენებით ხიმინჯების ჩამოსხმისას ხიმინჯის სათავისები უნდა ჩამოსხას გადაჭრის მითითებული დონის ზემოთ, ისე რომ გადაჭრის შემდეგ შესაძლებელი იყოს ხარისხიანი ბეტონის შეერთების შექმნა ხიმინჯთან. ყალიბის დონე უნდა იყოს გადაჭრის დონის ზემოთ, 16/3 ცხრილში მოცემული დაშვების ფარგლებში. ხიმინჯი ისე არ უნდა ჩამოსხას, რომ მისი გადაჭრის დონე მდგარი წყლის დონის ქვემოთ მოხვდეს, თუ მიღებული არ არის შესაბამისი ზომები წყლის შესვლის თავიდან ასაცილებლად, რაც იწვევს ბეტონის დაცალკევებას დროებითი ყალიბების ამოღების შემდეგ.

მშრალ ბურღილებში მუდმივი ფუტირების მიღებით ან ყალიბებით ხიმინჯების ჩამოსხმისას, იქ, სადაც მათი გადაჭრის დონე სტაბილურ გრუნტშია გამოყენებული ყალიბის ძირის ქვემოთ, ხიმინჯის სათავისები უნდა ჩაისხას მითითებული გადაჭრის დონის ზემოთ, ისე რომ გადაჭრის შემდეგ უზრუნველყოფილი იყოს ბეტონის ხარისხიანი შეერთება ხიმინჯთან. ყალიბის დონე გადაჭრის დონის ზემოთ უნდა იყოს და შეესაბამებოდეს 16/4 ცხრილში მოცემული დაშვებების ფარგლებს, თუმცა, არ უნდა იყოს საწყისი დონის ზემოთ.

წყლის ან დამხმარე სითხის ქვეშ ჩამოსხმული ხიმინჯებისთვის სათავისები უნდა ჩამოსხას მითითებული გადაჭრის დონის ზემოთ, ისე რომ გადაჭრის შემდეგ ამოღებულ იქნეს მთელი ნარჩენები, დაბინძურებული ბეტონი და შეიქმნას ხარისხიანი შეერთება ხიმინჯთან. ყალიბის დონე გადაჭრის დონის ზემოთ უნდა იყოს და შეესაბამებოდეს 16/5 ცხრილში მოცემული დაშვების ფარგლებს, თუმცა, არ უნდა იყოს საწყისი დონის ზემოთ. გადაჭრის დონეები შეიძლება მითითებული იყოს მდგარი გრუნტის წყლების დონის ქვემოთ. იქ, სადაც გამოიყენება ეს პირობა, ბურღილში სითხის დონე არ უნდა შემცირდეს მდგარი გრუნტის წყლის დონის ქვემოთ, სანამ არ დასრულდება ბეტონის ჯდენა.

იქ, სადაც დამხმარე სითხე ან წყალი შეერევა გრუნტს, საბურღი ალტურვილობით დროებითი ყალიბების დამონტაჟების დასახმარებლად ყალიბის დონე საწყის ზედაპირს უნდა თანხვდებოდეს.

## დროებითი ამოვსება ხიმინჯის ჩასხმის დონის ზემოთ

20) მას შემდეგ, რაც ყველა ხიმინჯი ჩამოსხმება, ყველა დარჩენილი ცარიელი ბურღილი რაც შეიძლება სწრაფად უნდა ამოივსოს ინერტული მასალით.

## ხიმინჯების თავების მოჭრა

21) მითითებულ გადასაჭრელ დონეზე ხიმინჯების გადაჭრისა და დამუშავების შემდეგ კონტრაქტორმა უნდა იზრუნოს ხიმინჯის დაზიანების თავიდან აცილებაზე. ნებისმიერი დამსკდარი ან დეფექტებიანი ბეტონი უნდა მოიჭრას და ხიმინჯი ისე გარემონტდეს, რომ შეიქმნას სრული და ხარისხიანი სექცია გადაჭრის დონეზე.



## ხსნარი

22) წვრილშემავსებლიანი ხსნარის გამოყენება ნებადართულია ბეტონის ნაცვლად ყველგან, სადაც მითითებულია ამ პუნქტში. გამოიყენება 1602-ე პუნქტის 15-22-ე ქვეპუნქტების მოთხოვნები. ქვიშა უნდა შეესაბამებოდეს 0/4 (C) or 0/2 ( ) of S 12620-ის ლიმიტებს.

შემავსებელში ტენის შემცველობა უნდა გაიზომოს უშუალოდ შერევამდე, შემდეგ კი იმ სიხშირით, როგორც საჭირო იქნება ნარევის კონსისტენციის შესანარჩუნებლად. პარტიების წონების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს დაშვება შემავსებელში ტენის შემცველობის შესახებ.

იქ, სადაც სიტყვა „ბეტონი“ გამოიყენება ამ პუნქტში, მის ნაცვლად შეიძლება იკითხებოდეს „ხსნარი“. სახელდობრ, ხსნარის მიმართ ასევე გამოიყენება მე-14-18 ქვეპუნქტები. ამას გარდა, ხსნარის კონსისტენციის მიმართ მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს 1602-ე პუნქტის მე-16 ქვეპუნქტს.

## ხსნარის ჩასხმა წნევის ქვეშ

### ხიმინჯების დაცემენტება

23) ხიმინჯი უნდა დაცემენტდეს წნევის ქვეშ, კონტრაქტორმა უნდა ააგოს ხიმინჯი ხსნარის მიღებით და ნებისმიერი სხვა წინასწარ დამონტაჟებული აღჭურვილობით, ისე რომ შემდეგ ხიმინჯი დაცემენტდეს.

### დაცემენტების მეთოდი

24) დაცემენტების მეთოდი ისეთი უნდა იყოს, რომ მზა ხიმინჯმა დააკმაყოფილოს სპეციფიკაციები და დაცემენტების დროს ხიმინჯის ამოწვევა მითითებულ ფარგლებში მოექცეს. კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს აღჭურვილობის, მასალებისა და მეთოდების სრული აღწერა დაცემენტების დაწყებამდე. მეთოდური დოკუმენტი უნდა შეიცავდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

- i) ინფორმაცია კონტრაქტორის დაცემენტების სპეციალისტების შესახებ, ძირითადი პერსონალის სახელები და მათი ბიოგრაფიები (CV), ასევე ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება.
- ii) დეტალური ინფორმაცია ხსნარის ტუმბოს, მიქსერის, სარევისა და სხვა აღჭურვილობის შესახებ, რომლებიც გამოიყენება ხსნარის შერევისა და ინექციისთვის.
- iii) დეტალური ინფორმაცია ხსნარის შესახებ მინარევების ჩათვლით.
- iv) ხსნარის ხარისხის კონტროლის მეთოდები, მათ შორის, ამოღებული კუბების რაოდენობა, ხსნარის სიმკვრივე, დენადობა და ჟონვადობა.
- v) ხსნარის მიღების გაზომვის მეთოდი, რომელიც ავტომატური უნდა იყოს, უნდა შეიცავდეს თითოეული წრედისთვის საინექციო ბოლოს ხსნარის მიღების გაზომვის ფიზიკურ მეთოდებს.
- vi) ხსნარის წნევის გაზომვის მეთოდი, რაც უნდა მოიცავდეს უწყვეტ ჩაწერას. წნევის საზომი ხელსაწყოების დაკალიბრების სერტიფიკატები.
- vii) ტიპობრივი ჩანაწერების ფურცელი დაცემენტებისთვის, რომლებიც უნდა მოიცავდეს ხსნარის მიღებას, ხსნარის წნევას, ნარჩენ წნევას და ხიმინჯის ამოწვევას დაცემენტების თითოეული ციკლისთვის. ასევე

უნდა შედგეს ტიპობრივი უწყვეტი ჩანაწერები ხსნარის წნევისა და ხიმინჯის ამოწვევის შესახებ.

- viii) ხსნარის მიზნობრივი მაქსიმალური, მინიმალური და ნარჩენი წნევა, ხსნარის ყოველი ინექციისთვის.
- ix) ხსნარის ინექციის მეთოდი დეტალური ინფორმაციით შესაბამისი აღჭურვილობის შესახებ. ხსნარის მიზნობრივი მოცულობები თითოეული ინექციისთვის.
- x) მილისებში ხახუნზე დანაკარგების გაზომვის მეთოდი.

### **ხსნარის მილისები**

25) უნდა ჩატარდეს ხსნარის მილისების ტესტირება, რათა დადგინდეს ხსნარის გაჟონვის შესაძლებლობა შეერთებებიდან, წნევის ქვეშ, ხიმინჯზე დამონტაჟებამდე. ხსნარის მილისებმა უნდა გაუძლოს წნევის ზემოქმედებას.

ხსნარის მილისების დასაცავად უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაგარი ხრახნიანი სახურავები დაბეტონების დროს და მის შემდეგ.

ხსნარის მილისები უნდა გაირეცხოს წყლით დაცემენტების თითოეული ოპერაციის შემდეგ.

თუ ვერ მოხდა მიზნობრივი მოცულობების ან წნევის უზრუნველყოფა, ან მითითებული ამოწვევა, ხიმინჯი თავიდან უნდა დაცემენტდეს 24 საათის განმავლობაში.

კონტრაქტორმა უნდა დანიშნოს თავისი პროექტის მენეჯერი ხსნარის წნევისა და ხსნარის მილების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.

### **ხიმინჯების ამოწვევა**

26) ფუნდამენტის დაცემენტებისას ხიმინჯი უნდა ამოიწიოს არანაკლებ 0.2 მმ-ზე და არა უმეტეს 2.0 მმ-ზე.

კონტრაქტორმა უნდა დანიშნოს თავისი პროექტის მენეჯერი დაცემენტების დროს ხიმინჯის ამოწვევის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.

ხიმინჯების ამოწვევის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს დონის ანათვლებით შკალაზე, რომელიც დამაგრებულია ხიმინჯის სათავისზე, ასევე ციფერბლატიანი საზომი მოწყობილობით შესაბამის ჩარჩოზე. ხიმინჯის ამოწვევა უწყვეტად უნდა ჩაწიეროს წანაცვლების დეტექტორით, რომელიც ასევე მიმაგრებულია შესაბამის ჩარჩოზე. გაზომვის სიზუსტე უნდა იყოს, სულ მცირე, 01 მმ მონიტორინგის თითოეული მოწყობილობისთვის. ჩარჩოს დიზაინი მოთხოვნისამებრ ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

### **ხსნარის ტესტირება**

27) უნდა განხორციელდეს ხსნარის შრეების კონტროლი. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილზე ტესტირების ყველა აღჭურვილობა ხსნარის შერევის კონტროლისთვის.

## ჩანაწერები

28) კონტრაქტორმა ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინოს ჩანაწერები თითოეული ხიმინჯის დაცემენტების შესახებ ამ ხიმინჯის დაცემენტების დამთავრებიდან 24 საათის ვადაში.

ამ ჩანაწერებში უნდა შევიდეს შემდეგი ინფორმაცია:

- a) ხიმინჯის ნომერი.
- b) თარიღი.
- c) ხსნარის მიღების ჟონვის ტესტი.
- d) ხსნარის შერევა.
- e) უწყვეტი ჩანაწერები ხსნარის წნევისა და ხიმინჯის ამოწვევის შესახებ ერთი და იგივე დროის განმავლობაში; ჩანაწერებს რეგულარულად უნდა დაერთოს წნევის საზომი მოწყობილობებით ფიზიკური გაზომვების ანათვლები ამ გაზომვების დროის მითითებით. ასევე უნდა დაფიქსირდეს ციკლის ნომერი და ხიმინჯის ნომერი.
- f) თითოეული ციკლისთვის ხსნარის პიკური და ნარჩენი წნევა დაცემენტების დროისა და თანამიმდევრობის ჩათვლით.
- g) ხიმინჯის ჯამური ამოწვევა და ამოწვევა თითოეული ციკლის დაცემენტების შემდეგ.
- h) თითოეული ციკლისთვის ინჟექტირებული ხსნარის მოცულობის ფიზიკური და ავტომატური გაზომვები, ასევე მიღებული ინჟექტირებული მოცულობები. ხსნარის მთლიანი მოცულობა.
- i) ხსნარის ყველა ტესტი.

**1604 ბურღილი ხიმინჯები, აბეზული უწყვეტად მომუშავე სვეტური ბურღებით და ბეტონის ან ხსნარის ინჟექცია ბურღის ღრუ ღეროდან**

## ხიმინჯის დიამეტრი

1) ხიმინჯის დიამეტრი არ უნდა იყოს მითითებულ დიამეტრზე ნაკლები.

თითოეული ხიმინჯისთვის უნდა შემოწმდეს და დაფიქსირდეს სათავისის გადაჭრის სიგანე იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიღწეული იყოს მითითებული დიამეტრი და სიგანე უფრო დიდი იყოს მომდევნო რიგთან შედარებით (დაშვება ერთ საჭრელზე +5% -0).

## ბურღვა

### ბურღვა ახლად ჩასხმული ხიმინჯის მახლობლად

2) ხიმინჯების ფორმირება უნდა მოხდეს იმ თანამიმდევრობით და ისე, რომ არ დაზიანდეს ადრე დამზადებული ხიმინჯი.

### შნეების (ბურღის ხრახნი) მოცილება გრუნტიდან

3) ხიმინჯის ბურღვისა და მშენებლობის დროს არ უნდა მოხდეს შნეის ამოღება გრუნტიდან ისე, რომ ბურღი ღია და დაუკავებელი იყოს, ან გამოიწვიოს წყლის შესვლა ხიმინჯის სექციაში. შნეის გრუნტიდან ამოღების შემდეგ ის უნდა გასუფთავდეს.

### **საბურღი აღჭურვილობის შესაბამისობა**

4) ხიმინჯი უნდა გაიბურღოს აღჭურვილობით, რომელსაც შეუძლია გრუნტში შეღწევა მიმდებარე გრუნტის ამოყრის გარეშე.

კონტრაქტორმა უნდა დააფიქსიროს, თუ შნეკი შექმნის გრუნტის ჭარბ რაოდენობას.

შნეკის ვერტიკალურობა უნდა შემოწმდეს ბურღვის დაწყებისას. თუ ბურღვის დროს შეინიშნება გადახრა მითითებული დაშვების ფარგლებს გარეთ, ეს უნდა დაფიქსირდეს ხიმინჯის შესახებ ჩანაწერებში.

### **ბურღილის ფუძის ჰერმეტიზაცია**

5) ბურღილის ფუძეს უნდა ჰქონდეს შესაბამისი საშუალებები, რომლებიც არ დაუშვებს ბურღვის დროს მასში წყლისა და მიწის შესვლას.

### **ხიმინჯის სიდრმე**

6) თუ ხიმინჯი ვერ მიაღწევს საჭირო სიდრმეს, ყველა ასეთი ფაქტი უნდა დააფიქსიროს კონტრაქტორმა ხიმინჯის შესახებ ჩანაწერში და შეიტანოს მიზეზების დეტალურად მითითებით.

### **ბეტონის ან ხსნარის ჩასხმა**

#### **საპროექტო ბეტონის ნარევი და შემადგენლობა**

- 2) ყველა ხილული აგურის წყობა, ბლოკის წყობა, ქვის ნამუშევარი და ნებისმიერი ზედაპირი ნამუშევრის ქვემოთ, რომელიც სამუშაოს შესრულების შემდეგ მოჩანს, უნდა იყოს სუფთა და დაცული ყოველგვარი დაზიანებისაგან და დასვრისგან. მრავალ მიზნობრივი ღია შეერთება უნდა გათავისუფლდეს ნებისმიერი წარმოშობის ნაგვისაგან და ნაფოტებისაგან.

**2416 ცემენტზე მიმაგრებული აგურის, ბლოკის და ქვის გარეგანი ნამუშევარი**

- 1) ნებისმიერი თავისუფალი მასალა უნდა მოშორდეს ბეტონს და მისი ზედაპირი უნდა გაირეცხოს სუფთა წყლით, სანამ მასზე დაეწყოთ აგური, ბლოკი ან ქვა.
- 2) უკანგავი ფოლადის ის ნაწილი, რომელიც ბეტონშია ჩატანებული, უნდა მთლიანად დაიფაროს გარეგანი ნამუშევარის დუღაბით, დაახლოებით, 30 მმ-ის სიღრმეზე აგურისა და ბლოკის ზედაპირიდან, ქვის შემთხვევაში კი – 40 მმ-ზე.
- 3) აგურსა და ბლოკის გარე წყობასა და ბეტონს შორის ღრიტოები უნდა მთლიანად ამოივსოს, როდესაც იგივე სახის დუღაბით სამუშაოები გაგრძელდება, გარე სახის სამუშაოების შესახებ მითითებების მიხედვით.
- 4) წინიდან უკან სიღრმის ცვალებადობა, ბუნებრივი ქვებით შესრულებული გარე სახის სამუშაოების შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს 30 მმ-ს და სივრცე გარესაჩის სამუშაოსა და შუასაადებს შორის მთლიანად უნდა ამოივსოს C12/15 კლასის და 1700 სერის შემავსებლის შესაბამისი ზომის მქონე ბეტონით.



აგურის და სხვა სახის ნამუშევრები დაუმაგრებელი ქვის თაღის ხიდებისათვის.

**2417 გაუმაგრებელი ქვის თაღის ხიდები**

**ზოგადი ინფორმაცია**

1) ქვის სამუშაო, რომელიც უკავშირდება დაუმაგრებელი ქვის თაღების ხიდებს უნდა შეესაბამებოდნენ ამ სერიას.

**აგურის სამუშაო**

2) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტის მენეჯერის მიერ სხვა სახის ინსტრუქცია გაიცემა, საკალატოზო ნამუშევრის ერთეულები (აგურები) უნდა განეკუთვნებოდნენ ტიპის ან კლასს, რომელშიც შედის თიხის საინჟინრო აგური და შეესაბამება S 771-1 მოთხოვნებს და 24/4 ცხრილში ჩამოთვლილ თვისებებს. სულფატის შემცველობის განსაზღვრა ხსნადი მარილის შემცველობაზე გამოცდით უნდა ჩატარდეს TR ანგარიში 447 ნომერი 2 ცდის მიხედვით.

24/4 ცხრილი: მახასიათებლები, რომლებიც მოეთხოვება სამშენებლო მასალას

მახასიათებლები	სახელმძღვანელო	საინჟინრო თიხის აგური	
		კლასი	კლასი
კომპრესიის წინააღმდეგ გამძლეობა ( /mm <sup>2</sup> )	S 772-1	≥ 125	≥ 75
წყლის შთანთქმის უნარი (% წონის) და მაშინ როდესაც გამოყენებულია C ერთეულებში და სუფთა მშრალი სიმკვრივე (kg/m <sup>3</sup> )	S 772-7 და S 772-13	< 4,5 (and C 1) და ≥ 2200	< 7,0 (და C2) და ≥ 2100
ყინვა/დათბობის წინააღმდეგობის კატეგორია	S 772-1	2	2
აქტიური ხსნადი მარილის შემცველობის კატეგორია	S 772-5	S2	S2

3) ბეტონის აგურები და ბლოკები უნდა შეესაბამებოდნენ S 6073-1 and S 772-2 და ჰქონდეთ მსხვრევის გამძლეობა არანაკლებ 30 /mm და ცემენტის შემცველობა, მინიმუმ, 350 kg/m.

4) ბუნებრივი ქვა უნდა შეესაბამებოდეს S 5628-3 და უნდა შეირჩეს ამინდის მიმართ დამტკიცებული გამძლეობის (მედევობის) საფუძველზე.

5) რეკონსტრუქტირებული ქვა უნდა შეესაბამებოდეს S 6457.

6) კალციუმის სილიკატის ერთეულები არ უნდა დაიშვას გამოყენებაში დაუმაგრებელი ქვის თაღის ხიდის მშენებლობისას.

**სამშენებლო ხსნარი**

7) დუღაბი (სამშენებლო ხსნარი) უნდა შეესაბამებოდეს 2404 მუხლის და შემდგომი მუხლების მოთხოვნებს.

8) ქვის კატეგორია უნდა შეესაბამებოდეს 24/5 ცხრილს. მასალების და ნარევის პროპორციები უნდა შეესაბამებოდეს 2404.1-ე და 2404.6-ე და 2417.10-ე ქვემუხლებს, საჭიროებისდა მიხედვით.

ცხრილი 24/5: ქვათა სახეობები (ნიშნები)

მდებარეობა/ელემენტი	ქვის სახეობა (ნიშანი)
დამთავრებული მიწის დონის ზემოთ და 150 მმ სიმაღლის ქვემოთ	(i) or (ii)
150 მმ დონის ზემოთ დასრულებული მიწის დონიდან. - საყრდენი კამარის უბე/ფრთის კედლები, დამბები და მოაჯირები - თაღის რგოლები	(ii) or (iii) (iii)

9) თითოეული ქვის სახეობისთვის უნდა შეიქმნას ქვის პრიზმების კომპლექტი, რომლებიც გამოიყენება თაღების ნაგებობაში. ქვა უნდა შეესაბამებოდეს არსებულ ნაგებობაში გამოყენებულ ქვებს. პრიზმები უნდა აშენდეს და გამოიცადოს კომპრესიის გამძლეობაზე S 1015-11-ის მიხედვით. ეს კომპლექტები შედგება 3 პრიზმისგან. აქედან თითოეული გაყოფილია 2 ნაწილად, რაც ქმნის 6 ერთეულს 6 ინდივიდუალური ცდისთვის. საშუალო მნიშვნელობა ამ 6 ცდიდან უნდა მდებარეობდეს იმ ზღვრებში, რომლებიც მოყვანილია 24/6 ცხრილში:

ცხრილი 24/6: დუღაბის (სამშენებლო ხსნარის) კომპრესიის მიმართ გამძლეობაზე (მედევობის) გამოცდა

დუღაბის (სამშენებლო ხსნარის) სახეობა	28-დღიანი საშუალო კომრესიაზე გამძლეობა ნ/მმ <sup>2</sup> -ში	
	მინიმუმი	მაქსიმუმი
(i)	9.9	11.5
(ii)	4.1	4.7
(iii)	2.3	2.6

10) იმ შემთხვევებში, სადაც თალი ფართოვდება კირიანი დუღაბით ან სადაც მოძრაობის მიმართ დამატებითი ტოლერანტობა შეინიშნება, შესაძლებელია კირიანი დუღაბის (სამშენებლო ხსნარის) გამოყენებაც. ამ შემთხვევაში, დუღაბი (სამშენებლო ხსნარი) უნდა შეესაბამებოდეს რეკომენდაციებს, რომლებიც მოყვანილია სახელმძღვანელოში “ქვის, აგურის და საკალატოზო ბლოკებისათვის განკუთვნილი ჰიდრაულიკური კირიანი დუღაბის საუკეთესო გამოყენება”.

**აგურის ბლოკის და ქვის მწყობელთა კვალიფიკაცია**

- 11) ამ სამუშაოების კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს 2412,2412,2414-ე და 2415-ე მუხლებს და S 5628-3 დამატება .
- 12) ისეთი შეერთებები, სადაც ქვების რგოლები მხოლოდ დუღაბით (სამშენებლო ხსნარით) ერთდება, მაგალითად – როგორც კონცენტრული რგოლების შეერთებებში, არ უნდა გამოიყენებოდეს პროექტის მენეჯერის მიერ დამტკიცების გარეშე.
- 13) თიხის აგური არ უნდა გამოიყენებოდეს გამოწვიდან 14 დღის განმავლობაში.
- 14) თაღში რგოლების ქვები ერთმანეთს მთლიანად უნდა დაუკავშირდნენ.
- 15) ქვის ნამუშევრის ხილული ზედაპირები უნდა იყოს სუფთა მდგომარეობაში და ჰქონდეს მისაღები გარეგნობა.
- 16) დაფარული ქვის ნამუშევრების დასრულებულ ზედაპირებს, იმისთვის, რომ წყალგაუმტარი იყოს, არ უნდა ჰქონდეს 3 მმ-ზე მეტი სიღრმის არათანაბარი ნაწილები.
- 17) ქვის სამუშაო არ უნდა დაიტვირთოს თავისივე წონის ჩათვლით მშენებლობის 28 დღის განმავლობაში, რაც მეტია გამძლეობის მახასიათებელი სტრესის 1/3-ზე.
- 18) თაღის ცენტრირების მოშორება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მასალა მიაღწევს საკმარის გამძლეობას. ცენტრირება არ უნდა მოშორდეს თაღის რგოლს დასრულებიდან 7 დღის განმავლობაში მაინც.

**ჰიდროზოლაცია**

19) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს სხვა პროექტის მენეჯერის მიერ სხვა რეკომენდაციას, უნდა იყენებდნენ 2005-ე მუხლს.

**ჰიდროიზოლაციის დაცვა**

- 20) წყალგაუმტარობის სისტემები დაცული იქნას ქვის ერთფა წყებით ან ცემენტით, როდესაც დაუმავრებელი (შეუერთებელი) მასალები გამოყენებულია როგორც გამტარი შუასადები.
- 21) ისეთი წყალგაუმტარობის სისტემები, რომლებსაც აქვთ გამტარი ფორებიანი ბეტონის შუასადები ან ჩამოსხმული ფუტურო (დრუიანი) ბლოკები 513.1(ii) და (iii) ქვე მუხლების შესაბამისად არ საჭიროებენ არავითარ დამატებით დაცვას.

**ნაგებობების ჰიდროსაიზოლაციო შუასადები**

- 22) ჰიდროსაიზოლაციო შუასადები კამარის უბე/ ფალანგის კედლებისთვის და საყრდენი კედლებისთვის უნდა შეესაბამებოდეს 513-ე მუხლს. იქ, სადაც გამოიყენება 513-ე მუხლის შესაბამისი ქაფიანი ბეტონი, მაშინ ძალაშია 513.2-ე ქვემუხლი.
- 23) იქ, სადაც 6 ან 6 შემავსებელი არის გამოყენებული, თაღის რგოლის წყალგამტარ შუასადებად გამოყენებულ უნდა იქნას წვრილმარცვლოვანი მასალა ან ფოროვანი ბეტონი 513.1 მუხლის მიხედვით.
- 24) იქ, სადაც 7 , 7 კლასის ან ქაფიანი ბეტონის შემავსებელია გამოყენებული, თაღის რგოლის წყალგამტარი შუასადები უნდა შეესაბამებოდეს 513.2-ე ქვემუხლს.

**შემავსებელი მასალა**

- 25) შემავსებელი მასალა 610-ე მუხლის შესაბამისად, უნდა ეკუთვნოდეს მე-6 , 6 , 7 ან 7 კლასს ან იყოს ქაფიანი ბეტონი ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების შესაბამისად:

**ქაფიანი ბეტონი**

- 1) აღდგენაზე გამოყენებული ქაფიანი ბეტონი უნდა პასუხობდეს “მაგისტრალურ გზებზე შესასვლელების აღდგენის სპეციფიკაციებს”
- 2) თხრილების ამოსავსები, საგზაო სამოსის ქვეშ თხრილების აღსადგენი ქაფიანი ბეტონი უნდა იქნეს შემდეგი თვისებების მატარებელი:  
 7 დღის შემდეგ კუბის მინიმალური კომპრესიისადმი მედეგობა უნდა იყოს 4 ნ/მმ<sup>2</sup>-ს, მაქსიმალური – 10 ნ/მმ<sup>2</sup>.  
 კომპრესიაზე კუბების გამოსაცდელად ისინი დამზადებულ უნდა იქნეს S 12390-1 და S 12390-2 შესაბამისად.
- 3) ქაფიან ბეტონში გამოყენებული კველა მინარევი უნდა გაიცრას 6.3 მმ საცერით. და უნდა პასუხობდეს და მარცვლოვან ლიმიტს მოცემულს S 12620 – ში.
- 4) დაგების შემდეგ ბეტონი არ უნდა დაიტკეპნოს ან არ უნდა მოხდეს მისი სხვაგვარად კომპაქტირება.
- 5) ბეტონის დაგების შემდეგ არ უნდა მოხდეს საფუძველის ან მისი ქვედა ფენის დაგება მანამ სანამ ბეტონის სიმტკიცე არ იქნება საკმარისი, შესაბამისი ოპერაციებისთვის.

- 26) შემავსებელი მასალა უნდა დაიგოს 610-ე მუხლის შესაბამისად.
- 27) მასალის შემამჭიდროებელი დანადგარი 1 მეტრამდე ანდა მალის ერთ მეხუთედამდე უნდა შეესაბამებოდეს 623.10-ე ქვემუხლს.
- 28) ხიდებისთვის, რომლებზეც გადის საზოგადოებრივი გზები, თაღის გვირგვინსა და ქვედა დაგებულ ზედაპირს შორის 300 მილიმეტრის სიღრმის შემავსებელი უნდა გამოიყენებოდეს.
- 29) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტში სხვაგვარაა მითითებული, შემავსებელი მასალა უნდა დაიცალოს 150 მმ დიამეტრის მილის საშუალებით, რომელსაც ბერკეტის მოწყობილობა აქვს ნაკადის დასაწყისში. დამცლელი (სადრენაჟო) მილები და ბერკეტის მოწყობილობა უნდა შეესაბამებოდეს 500-ე სერიას.

## სერია 2500 სპეციალური ნაბეობები

### 2501 გოფირებული ფოლადის მიწისქვეშ მოქცეული ნაბეობები

#### ზოგადი

1) გოფირებული ფოლადის მიწისქვეშ მოქცეული ნაბეობები, რომელთა შიდა დიამტერი 900 მმ-ზე მეტია, უნდა შეესაბამებოდნენ შემდეგ მუხლს:

2) კონტრაქტორმა უნდა შეასრულოს საკონტრაქტო დოკუმენტებში ჩამოთვლილი მიწით დაფარული გოფირებული ფოლადის ნაბეობების პროექტი 12 ( R 2.2.6) სტანდარტის მიხედვით.

#### მიწის სამუშაოები

3) მიწის სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს 600-ე სერიას.

#### ფოლადი კომპონენტები

4) ყველა ხრახნილი და ჭანჭიკით დამაგრებული სეგმენტებისაგან შემდგარი სისტემას, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნას კონსტრუქციაში, უნდა ჰქონდეს მიმდინარე (ძალაში მყოფი) ტიპის დამტკიცების სერტიფიკატი. ყველა ინდივიდუალურ კომპონენტს და მასალას, რომელიც სისტემის ნაწილს წარმოადგენს, უნდა ახასიათებდეს ტიპის დამტკიცების სერტიფიკატში ჩამოთვლილი თვისებები.

5) ხრახნილი სისტემების ჩაკეტილმა ნაკერებმა უნდა გაუძღონ დაჭიმულობის ძალებს ნაკერის გასწვრივ, ფოლადის ფილის სიგანის მიხედვით, რომელიც ჩამოთვლილია ცხრილში:

ფილის ნომინალური სისქე (მმ)	მინიმალური დაჭიმულობის ძალა ნაკერის გასწვრივ (კნ/მ)
1.00	36
1.30	51
1.60	65
2.00	88
2.80	136
3.50	182
4.20	234

შუა ფილის სიგანეზე მინიმალური დაჭიმვის ძალა შეიძლება გამოითვალოს წრფივი ინტერპოლაციით.

6) ფორმირების შემდეგ გოფირების სიღრმე უნდა იყოს გამძლეობის 6% საზღვრებში და გოფირების ტალღის სიგრძე ნომინალური განზომილების 4% - ის ფარგლებში. ფირფიტებს უნდა ჰქონდეთ, მინიმუმ, 45 მმ სიგრძის გადმოშორება ბოლო დატალღვის შემდეგ. დაჭრის კიდეებს არ უნდა ჰქონდეს ნაჭდევეები, ამონაჭრები, უანგი ან ჭუჭყი.

7) როდესაც ჭანჭიკებით დასამაგრებალი ყველა ფირფიტა დამონტაჟდება, ჭანჭიკების დაჭერა უნდა მოხდეს სერტიფიკატებში მითითებული ძალით. საჭიროების შემთხვევაში მოჭერა შემცირდება, მოჭერის მითითებული ძალის (მობრუნების მომენტი) უძრუნველსაყოფად.

ჭანჭიკები, ქანჩები, შუასადები უნდა იყოს ისეთი სახით შესრულებული, რომ ქანჩების მოჭერის ზემოთ აღნიშნულ პროცესში, ლითონის ზედაპირები არ დაზიანდეს.

**ფოლადის კომპონენტების ცხელი ჩაწობით გაღვანიზაცია**

8) უნდა მოხდეს ფოლადის კომპონენტების ყველა ზედაპირის გაღვანიზება იმ სტანდარტების მიხედვით, რომელიც მითითებულია შესაბამისი მისაღები ტიპის სერტიფიკატში და შეთანხმებული გზების და ხიდების სერტიფიკატის ბრიტანულ საბჭოში. ჭანჭიკებით შეერთებულ ნაწილების ფირფიტებმა უნდა განიცადოს გაღვანიზაცია მხოლოდ ფორმირების და გოფრირების შემდეგ და გახვრეტის შემდეგ. იმ ნაწილებში, სადაც გაღვანიზებული გარსი შედუღების ან აწყოების, ტრანსპორტირების ან დასაწყოების დროს დაიწვა ან დაზიანდა, უნდა გარემონტდეს 1907-ე და 1908-ე მუხლების მიხედვით.

9) უნდა მოხდეს ჭანჭიკების და ქანჩების ცხელი მეთოდით გაღვანიზება.

**ბეტონის საფუძველი თაღის პროფილის ნაგებობებისათვის**

10) ბეტონის საძირკვლები უნდა აშენდეს ბეტონით, რომელიც შეესაბამება 1700-ე სერიას.

**ბეტონის ინვერტული დაგება**

11) საკონტრაქტო ნახაზებში მიტითების შემთხვევაში, ბეტონის გადაბრუნებული დაგება უნდა იყენებდეს გამძლეობის C25/30 კლასის ბეტონს და მაქსიმალურ მთლიან 20მმ განზომილებას 1700-ე სერიების შესაბამისად.

12) ბეტონის გადაბრუნებული დაგება უნდა გამაგრდეს ფოლადის ნაჭრით, რომელიც შეესაბამება 1700 სერიებს და აქვს ანჯამის განზომილება არაუმეტეს 150 მმ x 300 მმ და ნომინალური განზომილება მავთულისათვის შეადგენს 5მმ-ზე არანაკლებს. ანჯამები უნდა იკეცებოდეს 150 მმ-ზე. ფოლადის ნაჭერი ნაგებობაზე ჭანჭიკების მეშვეობით უნდა დამაგრდეს. ის უნდა გაიჭიმოს ბეტონის ნაპირიდან არაუმეტეს 100 მმ-ის და არანაკლებ 40 მმ-ის მანძილზე. ნომინალური 45 მმ-იანი დაფარვა უნდა გამოეყოს სხვა ზედაპირებს, ნაგებობის ფოლადის გოფრირების ჩათვლით.

13) ბეტონის გადაბრუნებული დასაგები ფილები უნდა ჩამოისხას ყალიბებში, რომელთა სიგრძე არ აღემატება 10 მეტრს, ყალიბების ფორმა უნდა ითვალისწინებდეს მიმდებარე პანელებს შორის წყლის საჭერიტულებს, ხოლო ბეტონის ფილების კიდეები (შეერთების დგილები), 2303-ე მუხლის შესაბამისად, ჰერმეტიულად უნდა იხურებოდეს.

14) კონსტრუქციის თითოეულ კიდეზე ბეტონის ინვერტირებული (ამობრუნებული) ფილები უნდა იყოს:

- (i) დასრულებული ხილული ქუსლით, რომელიც 200 მმ-ზე მაინც შედის ნაგებობის ქვეშ. ფოლადის ნაჭერი უნდა გადაიკეცოს ნაგებობის ქვეშ, რომ მოერგოს ზუსტად. ქუსლს უნდა ახასიათებდეს ის სისქე, რომელიც ბეტონის დასაგებ ფილებს ესაჭიროებათ 12 ( R 2.2.6) სტანდარტის მიხედვით;
- (ii) ან ერგებოდეს ნებისმიერ კედელს ანდა კედლის გამაგრებას.

15) სამუშაოს დაწყებამდე ნებისმიერი გარეშე მასალა და დაგუბებული წყალი უნდა მოშორდეს იმ ფოლადის ზედაპირიდან, რომელზეც უნდა დაეგოს ბეტონის ფილები.

**დაპატენტებული გადაბრუნებული დასაგები ფილები (მეტლახი)**

16) ნებისმიერ შემთავაზებულ ინვერციულ დასაგები ფილების სისტემას უნდა ჰქონდეს დაწესებულებისგან აღიარებული ძალაში მყოფი სერტიფიკატი.

**დაპატენტებული მეორადი დამცველი გარსი, რომელიც დატანილია ცხელი ჩაწობით გაღვანიზებულ გარსზე.**

17) ნებისმიერ შემთავაზებულ მეორადი დამცველი გარსის სისტემას უნდა ჰქონდეს ძალაში მყოფი სერტიფიკატი აღიარებული დაწესებულებისგან.

**დამატებითი დამცველი გარსი**

18) ხილული გაღვანიზებული ფოლადის ზედაპირები უნდა მომზადდეს და დაცული იქნას დაყენების შემდგომ. დამატებითი დამცველი გარსი შეიძლება დატანილ იქნას ან ქარხანაშივე ან ადგილზე და მისი მომსახურების ხანგრძლივობა აგრესიულ გარემო პირობებში 6 წელზე არანაკლები უნდა იყოს.

**2502 - 2503 არ გამოიყენება**

**2504 ავტობუსის გაჩერების ფარდული**

- 1) ავტობუსის გაჩერების ფარდული აშენებული უნდა იქნეს ნახაზების მიხედვით.
- 2) კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერს დასამტკიცებლად უნდა წარმოუდგინოს ავტობუსის გაჩერების ფარდულის ტიპი და დამზადების დეტალები, 106 მუხლის მიხედვით.

**2505 სადრენაჟო ნაბეობები**

**ზოგადი**

1) ყველა საწრეტი და მრგვალი და ოთხკუთხა მილების, საკანალიზაციო ან საწრეტი ნაგებობები, რომლებსაც 900 მმ-ზე მეტი დიამეტრი აქვთ, უნდა შეესაბამებოდნენ ნახაზების მოთხოვნებს. ტერმინები წრეტა და დრენაჟი აუცილებლად გულისხმობს კანალიზაციას და სადრენაჟო სისტემას.

2) კონტრაქტორმა უნდა შეასრულოს მრგვალი და ოთხკუთხა მილების პროექტი მიღებიანი და ყუთისებური წლის გამშვებისა ან იმ ნაგებობებისა, რომლებიც მოსენიებულია კონტრაქტში, 104-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პროექტის მენეჯერმა გასცა საწინააღმდეგო დირექტივა მხოლოდ ერთი ტიპის მილი უნდა იქნას გამოყენებული ინდივიდუალური დრენაჟად მიმდებარე კამერებს შორის.

3) სადრენაჟო მილები უნდა მიეწოდოს 25/1 ცხრილში ჩამოთვლილი ალტერნატივებიდან და უნდა შეესაბამებოდნენ სტანდარტებს და მოთხოვნებს. კონტრაქტორმა უნდა აჩვენოს, რომ არჩეულ მილებს აქვთ ჰიდრაულიკული გამტარობის ტოლი ან მეტი უნარი, რომელიც მითითებულია დრენაჟების ცხრილში. დრენაჟის სამუშაოებს დასრულებისთანავე კონტრაქტორმა უნდა წარადგინოს სისტემა პროექტის მენეჯერთან მილების მუშაობის გრაფიკის დეტალების ჩათვლით, როგორცაა - მილების ტიპი, ხარისხი, შესახსრება და მწარმოებლის სახელი.

ცხრილი 25/1: სადრენაჟო და საკანალიზაციო მილების დიამეტრი ან განივჭრილი 900 მმ-ზე მეტი უნდა იყოს

მასალა	დანიშნულება	სტანდარტი	კერძი მოთხოვნები
--------	-------------	-----------	------------------

მოჭიქული თიხა	ზედაპირული და დაბინძურებული საკანალიზაციო წყლების დრენაჟი	S 295	შესაბამისობაში უნდა იყოს 2506 მუხლთან
ბეტონი (C I ან SR C ტიპის ცემენტით, როგორც ეს განსაზღვრულია S 8500-1-ის ცხრილში . 17  ჭარბად სულფატირებული ცემენტი არ უნდა იქნას გამოყენებული	ზედაპირული და დაბინძურებული საკანალიზაციო წყლების დრენაჟი	S 5911-1 და S 1916 ან S 5911-5	ბეტონის მიღები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს (მათი გამოცდა უნდა ხდებოდეს S მოთხოვნების შესაბამისად ხოლო ნიმუშების აღება მუხლი 2506-ის 28-ე ქვემუხლის შესაბამისად):  ქლორიდის სრული შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს ცხრილ 17/1-ში მოტანილ რაოდენობას  შესაბამისობაში უნდა იყოს 2506 მუხლთან
რკინა	ზედაპირული და დაბინძურებული საკანალიზაციო წყლების დრენაჟი	S 598 (ელასტიური რკინა)	
გოფრირებული ფოლადი	ზედაპირული წყლების დრენაჟი	12 ( R 2.2.6)	მარკის, სახეობის დამადასტურებელი სერთიფიკატი  შესაბამისობაში უნდა იყოს 2501 მუხლთან

**2506 მიწაში ჩაფლული ხისტი მილები და სადრენაჟო ნაბეჭობები**

**გამოყენების სფერო**

1) ამ მუხლის მიზნებისთვის, ხისტ მილებს შორის მოიაზრება მოჭიქული თიხის მილები და სუფთა, არმატურიანი და წინასწარ დაძაბული ბეტონის მილები, როგორც ეს 25/1-ე ცხრილშია მოცემული.

**ექსკავაცია მილებისა და კამერებისთვის**

2) მიწის ამოთხრა უნდა შეესაბამებოდეს 602-ე მუხლს და 502.1-ე ქვემუხლს.

3) ყველა მილი ახალი ნაყარი ჯებირების ქვეშ უნდა ჩაიწყოს მხოლოდ ჯებირების დასრულების შემდეგ და უნდა შეუთანასწორდეს მოგებულ ფართობებს, დასრულებულ მიწის სამუშაოებს ან იმ დონეს, რომელიც მოგვცემს, მინიმუმ, 12 მ საფარს მილებს ზემოთ. ამათ შორის ის ვარიანტი განიხილება, რომელიც მილების ჩაწყობის უდაბლეს დონეს ითვალისწინებს.

**მიღები კალაპოტი, ჩაწობა და შემოსაზღვრა**

4) უშუალოდ კალაპოტის ამოთხრის შემდეგ მიღები უნდა ჩაეწოს და შეერთდეს კალაპოტის ფსკერზე 503.1-ე ქვე მუხლის შესაბამისად. კირქვის ნაერთები არ უნდა გამოიყენებოდეს ფსკერზე.

5) მიღების კალაპოტები, და გარშემო მყოფი მასალები უნდა ნაჩვენები იქნას ნახაზში და უნდა ეთანხმებოდეს 503.3(i), (ii), (iii), (iv) ან (vi) ქვე მუხლებს.

6) კალაპოტის და მილის გარშემო და კიდის გასწვრივ მასალის დასრულება უნდა ჩატარდეს, უშუალოდ, შეერთების შემდეგ, რომელიც უნდა შესრულდეს 503.4-ე მუხლის შესაბამისად.

7) მიღებული უნდა იქნას სიფრთხილის ზომები, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს წყლის დინება კალაპოტის გრანულირებული ფსკერზე და მიღების გარშემო.

**მიღების შეერთება**

8) ხისტი შეერთება ნიშნავს მიღების მყარ შეერთებას ბუდეების დაგმანვით ან მიღების ნაპირების ჭანჭიკებით შეერთებას. მოქნილი შეერთება ნიშნავს ელასტიური რგოლების საშუალებით მიერთებას მილის ბუდეებსა და მილისებს შორის ან საყვლეურებს და გილზებს შორის.

9) შეერთებები ზედაპირული წყლების საწრეტ მიღებში და საკანალიზაციო მიღებში უნდა შეესაბამებოდეს ბრიტანულ სტანდარტებს და გამომშვების ინსტრუქციებს. ხისტი შეერთება უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ნებადართულია პროექტის მენეჯერის მიერ. ხისტი შეერთების მილისები და ბუდეები შეიძლება დაიგმანოს ფისში ამოვლებული თოკით ან მისი შემცველით და ბუდეს არე უნდა ამოივსოს (i) მარკირების დუღაბით 2404-ე მუხლის შესაბამისად, კირქვის გამორიცხვით; დუღაბი (სამშენებლო ხსნარი) დატანილ უნდა იქნას ბუდის გარშემო და გავრცელდეს არანაკლებ 50 მმ-ზე ბუდის ზედაპირიდან.

10) ელასტიური შეერთების მქონე ხისტ მიღებზე სადაც გამოიყენება ბეტონის ბალიშები, ღარი ან თაღი, გამოყენებული შეერთების საგოზავის საგები უნდა შეესაბამებოდეს 2303-ე მუხლს და დადებულ იქნას ისე, რომ ეხებოდეს ყველა მილის ბუდეს და განეგრძოს დაგებული ბეტონის ბალიშის მთელ სისქეზე, კიდის გასწვრივ და მილის გარშემო.

**თხრილის ამოვსება**

11) ამოვსებას შეიძლება მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი წინმსწრები ოპერაციები დასრულებულია.

12) თხრილები უნდა ამოივსოს ისე, რომ მიღების გარშემო მასალა დაიფაროს, როგორც მითითებულია 503-ე მუხლში, 1,2,3 კლასის ზოგადი საგლეხი მასალით, მე-600 სერიების შესაბამისად.

13) ამოსავსები მასალა დატანილ უნდა იქნას და განთავსდეს 612-ე მუხლის მიხედვით. ამოსავსებად გამოყენებული მასალა დატანილ უნდა იქნას თანაბარ ფენებად და არ უნდა განაწილდეს თხრილში დატკეპნამდე. განაწილება და კომპაქტურად მოთავსება უნდა მოხდეს თანაბრად მილის ამოვლების, დეფორმირების ან დაზიანების გარეშე. მექანიკური დატკეპნა არ უნდა გამოიყენებოდეს მილის შესახსრებიდან 300 მმ-ის სიახლოვეში.

14) სავალი ნაწილის და სხვა საფარიანი ზედაპირების გარდა, თხრილების ამოვსება შეიძლება მიწის ზედაპირამდე მოხდეს. თხრილის ამოვსებ მასალას უნდა წაეყაროს მახლობლად არსებული ნიადაგის მსგავსი და იგივე სისქის ნიადაგი, ხოლო სავალ



ნაწილზე არსებულ თხრილებსა და სხვა საფარიან ზედაპირებზე ამოვსება უნდა მოხდეს სამოსის ფორმაციის ან სუბ ფორმაციის დონეზე და გადაეკვრება სამოსი იმ შემთხვევაში, თუკი პროექტის მენეჯერი არ მიუთითებს თხრილის ამოვსებას უფრო დაბალ დონემდე. თხრილის ამოვსების დროს თხრილის დამჭერი ფურცლები და თხრილის გამამაგრებელი სხვა კონსტრუქციები მოცილებულ უნდა იქნას, თუკი სხვაგვარად არ იქნება მითითებული პროექტის მენეჯერის მიერ.

#### არსებულ საწრეტებს, კამერებსა და არხებთან დაკავშირება

15) შეერთება არსებულ საწრეტებს, კამერებსა და არხებთან უნდა შესწულდეს 506-ე მუხლის მიხედვით.

#### ჭები

16) საავტომობილო გზებზე საკომუნიკაციო ნაგებობების გარდა, ჭები მოიცავს სარემონტო, მიმღებ, სათვალთვალო, დამცლელ და კედლიან დამცლელ ჭებს.

17) ჭების საფუძველი უნდა იყოს ST4 ბეტონის, 2602-ე მუხლის შესაბამისად. ჭების არხები უნდა შესრულდეს გლუვად, საძირკვლის ბეტონზე ან უნდა აშენდეს ნახევარ რკალ არხებად, რომელთა გვერდები შესრულებული იქნება იგივე სახის ბეტონისაგან ანდა დუღაბისაგან (კირის გარდა) (i) მარკირებით, 2404-ე მუხლის შესაბამისად.

18) აგურის წყობის სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს 2400-ე სერიებს და უნდა შესრულდეს დუღაბით, რომელიც მარკირებულია (i) ინგლისური კატეგორიით. აგურის ნამუშევრის შეერთებები, სადაც ისინი ხილულია, უნდა დასრულდეს 2412-ე მუხლის თანახმად. მიღების დასასრული უნდა იყოს სუფთად და ზუსტად მოთავსებული აგურის წყობაში და უნდა შესრულდეს დუღაბით, რომელიც მარკირებულია (i)–ით, 2404-ე მუხლის შესაბამისად.

19) წინასწარ დამზადებული ბეტონის ჭები უნდა შეესაბამებოდნენ S 5911-3 და S 1917-ს. ადგილზე ჩამოსხმული ბეტონის კამერები უნდა აშენდეს ST4 ბეტონით, 2602 მუხლის შესაბამისად.

20) ჭაში ჩასასვლელი საფეხურები უნდა შეესაბამებოდნენ S 13101-ს და უნდა შესრულდეს შესაბამისი ნახაზების მიხედვით. კიბეებად სახელწერებად და სხვა მიზნებისთვის გამოყენებული ფოლადის ნაკეთობანი, უნდა შეესაბამებოდნენ S 970: პირველ ნაწილს და დამზადების შემდეგ უნდა იყოს გაღვანიზებული 1909 მუხლის მიხედვით. ხრახნიანი დეტალების გაღვანიზება უნდა მოხდეს 1909-ე მუხლის მიხედვით.

21) ჭების გარშემო თხრილი უნდა ამოივსოს წებადი 2 კლასის მასალით (ცხრილი 6/1); ეს მასალა უნდა დაიტკეპნოს 612-ე მუხლის მიხედვით. იქ, სადაც მექანიკური დატკეპნა ვერ ხერხდება, ამოთხრილი ადგილი უნდა აივსოს ST2 ბეტონით, 2602-ე მუხლის შესაბამისად. წინასწარ დამზადებული მიერთებები, ისინი უნდა შემოისახვდნოს, მინიმუმ, 150 მმ სისქის ST4 ბეტონით, რომელიც შეესაბამება 612-ე მუხლს.

22) საკანალიზაციო ჭები უნდა გამოიცადოს ჰერმეტიულობაზე.

23) ჭების თავსახურები, ცხაურები და ჩარჩოები უნდა შეესაბამებოდნენ S 124-ს და ქვე მუხლებს 10,11, 12, 13 და 15-ს, 507-ე მუხლიდან; ისინი უნდა მოთავსდნენ ცემენტის სამშენებლო ხსნარში (დუღაბში) ან სწრაფად შრობად სამშენებლო ხსნარში, 507.15-ე ქვემუხლის შესაბამისად.

24) ჭებთან ხისტი მიღების უახლოესი შეერთება დაცილებული უნდა იქნეს არანაკლებ 500 მმ-ით კედლის შიდა სახიდან და არ უნდა შემოიფარგლოს ბეტონით. შემდგომი შეერთება დაცილებულ უნდა იქნეს არანაკლებ 1250 მმ-ით.

25) ჩარჩოების, თავსახურების და ცხაურების მორგების და შეცვლის სამუშაოების საჭიროების დროს, დეტალები უნდა მოიხსნას და შეკეთდეს ან შეიცვალოს სხვა დეტალებით 23-ე ქვემუხლის მიხედვით, ან სხვა სპეციფიკაციის მიხედვით ინჟინრთან შეთანხმებით. სამშენებლო ხსნარის (დულაბის) სისქე უნდა იყოს 10 მმ-დან 25 მმ-მდე. ნებისმიერი დამატებითი მორგება ან ცვლილება უნდა ჩატარდეს აგურის წყობის მოდიფიცირების გზით, ამ მუხლის 18-ე ქვემუხლის შესაბამისად ან შესაბამისი სიდრმის ჩარჩოს გამოყენებით.

### მიღების შეერთება

26) შეერთების მიღები უნდა იყოს დამზადებული იგივე ტიპის და კლასის მასალისაგან, როგორც დანარჩენი მიღები. შეერთების მიღები, რომლებიც ჩაეწყობიან, მაგრამ არ მიუერთდებიან მიღებს მაშინვე, ჯერ უნდა მოერგონ დროებითი დამჭერების ან ლუქების საშუალებით და ყველა შეერთების ადგილი უნდა ცხადად განისაზღვროს მავთულების საშუალებით, რომლებიც იქნებიან შესაბამისად დანიშნული.

27) „უნაგირის“ ტიპის შეერთების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ პროექტის მენეჯერის ნებართვის შემთხვევაში. 5 მმ-ზე მეტი შიდა გამონაშვებები არ იქნება ნებადართული. „უნაგირის“ ტიპის შეერთება ხისტი მიღებისათვის შესრულდეს (i) ტიპის დურაბით (კირის გარდა) რომელიც მარკირებულია 2404 მუხლის შესაბამისად.

„უნაგირის“ ტიპის შეერთებები და მიღები უნდა შემოისაზღვროს ST2 ბეტონით 2602-ე მუხლის შესაბამისად.

### მიღების ხარისხი

28) ხისტი მიღებისათვის კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს სერტიფიკატები, რომლებსაც გასცემს ამ მიღების მწარმოებელი, შემდეგ მაჩვენებლებზე დაყრდნობით:

- (i) ჰიდრაულიკური და ჰიდროსტატიკური გამოცდისათვის და ნამუშევრის დატვირთვის მდებარეობაზე ცდითვის, ნიმუშები უნდა იქნას აღებული ნებისმიერად თანმიმდევრულად ნაწარმოები მიღების ყოველი კომპლექტიდან, როგორც აღწერილია 25/2-ე ცხრილში.
- (ii) მაქსიმალურ დატვირთვაზე ცდა უნდა ჩატარდეს მილის ნებისმიერ ადგილზე და, როდესაც ეს ადგილი გამოცდას გაივლის, უნდა ჩატარდეს მიღებულ დატვირთვაზე ცდა. უნდა ჩატარდეს დამტკიცებული დატვირთვის ცდა და თუკი რომელიმე მილი მას ვერ გაივლის, მაშინ კომპლექტი მთლიანად უნდა იქნას დაწუნებული.

### გამოცდა და გაწმენდა

29) საწრეტი (სადრენაჟე) ნაგებობები მთლიანად უნდა შემოწმდნენ ამოვსების დაწყებამდე და დასრულების შემდეგაც. იქ, სადაც ასეთი ნაგებობანი მდებარეობენ დიდი სამშენებლო მოქმედებების გავლენის ქვეშ, მათი შემოწმება უნდა მოხდეს ისევ მშენებლობის დასრულებისას სამუშაოს საბოლოოდ ჩაბარებამდე.

30) საწრეტი (სადრენაჟე) ნაგებობები უნდა იყოს სუფთა დანალექისა და წინაღობებისაგან.

ცხრილი 25/1: ნიმუშების ცხრილი

მიღების რაოდენობა კომპლექტში	ნიმუშის ზომა	თუკი ყველამ ჩააბარა	თუკი 2 ან 2-ზე მეტი ჩააგდებს გამოცდას	თუ 1 ჩააგდებს ჩაატარეთ შემოწმება:	თუ 1 ან მეტი შემდგომი ნიმუში ჩააგდებს გამოცდას მაშინ
40 or less 41-60 61-80 81-100 100 მეტი	2 3 4 5 5 კომპლექტში of 100	მიიღე	წუნდებულ იქნას ან ცდა ჩაუტარდეს კომპლექტში ყველა მიღებული რომლებიც ვერ გაივლიან დაწუნებულ იქნან.	2 3 4 5 5	დაიწუნეთ ან შეამოწმეთ ყველა შემდგომი მიღებული ჩამგდები მიღებული დაწუნებული იქნას.

## სერია 2600 სხვადასხვა

### 2601 საფუძველის საამშენებლო ხსნარი

#### ზოგადი

1) საფუძველის საამშენებლო ხსნარმა უნდ დააკმაყოფილოს შემდეგი საექსპლუატაციო მოთხოვნები:

(i) სანამ პროექტის მენეჯერის მიერ სხვანაირად განისაზღვრება, საფუძველის ხსნარს უნდა ჰქონდეს ზეწოლის გამძლეობა არანაკლებ 50ნ/მ<sup>2</sup> შემოწმებული 4(iv) ქვე-მუხლით ან 4(v) მუხლით;

(ii) ნაკადის მახასიათებლები ისეთი უნდა იყოს, რომ საფუძველის ან პლინტუსის მოცულობა, როგორც ნაჩვენებია ნახაზებზე, მთლიანად უნდა აივსოს ერთგვაროვანი ნივთიერებით 5 C -დან 25 C -მდე ტემპერატურის ფარგლებში;

(iii) მთელი მიმდებარე ზედაპირის ფიზიკური და ქიმიური თვისებები თავსებადი უნდა იყოს.

სადაც საჭიროა, რომ ხსნარმა გაუძლოს ზეწოლას, 28-დღიანი გამაგრების პერიოდზე ადრე, ზეწოლის გამძლეობა უნდა დადასტურდეს ცდით ხსნარის კუბზე, იმ პირობებში, რომელიც მსგავსია საველე პირობებისა.

#### მასალები

2) (i) შემავსებლის მაქსიმალური ზომა საძირკვლის ხსნარში უნდა იყოს 2.8მმ.  
(ii) დაპატენტებული მასალები უნდა ინახებოდეს შემდეგნაირად:

(ა) მასალები უნდა ინახებოდეს მშრალ გარემოში 10 C -დან 27 C -მდე ტემპერატურების შუალედში, ტემპერატურის შესანარჩუნებლად აუცილებელია გათბობის ან გაცივების ღონისძიებების გატარება.

(ბ) კონტეინერები უნდა იყოს წყალგაუმტარი, გაუჟონვადი და ადვილად იცლებოდეს.

(გ) კონტრეინერები უნდა აღინიშნებოდეს ბეტონის შემცველი ნომრით, კომპონენტის იდენტიფიკაციით, მწარმოებლის სახელით, მასით და იმ გაფრთხილებებით, რომლებიც შიგთავსის მოთხოვნების შესაბამისია.

(დ) მასალა არ უნდა იქნეს საწყობიდან ამოღებული არევის დაწყებამდე.

- (ივ) მასალა არ უნდა გამოიყენებოდეს წარმოებიდან ექვსი თვის შემდეგ ან მწარმოებლის ან მომარაგებლის მიერ განსაზღვრული უფრო მცირე დროისთვის.
- (ვ) სამუშაოს მწარმოებელმა უნდა მოიმარაგოს ცემენტის ყველა ხსნარი ან მათი ნაწილი, იმ მასალით, რომელსაც გადაუგზავნის ზედამხედველი, სერთიფიკატებით აღჭურვილს მომარაგებლის ან მწარმოებლის მიერ შემდეგით:
- (ა) ) მწარმოებლის სახელი და მისამართი.
- (ბ) ) მწარმოებლის აგენტის სახელი და მისამართი, სადაც საჭიროა.
- (ც) მასალის აღწერა და ბრენდის სახელი.
- (დ) ცემენტის ნარევის ნომრით, ზომით და კონტეინერების ნომრით მიტანის რიგის მიხედვით.
- (ე) წარმოების თარიღი.
- (ფ) ქლორიდის იონების შემცველობა, გამოსახულს ცემენტის მასის პროცენტებში.
- (vi) კალციუმის ქლორიდი ან მინარევი, რომელიც შეიცავს ქლორიდის მარილს არ უნდა გამოიყენებოდეს და ქლორიდის იონების სრული შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს ცემენტის მასის 0.1%-ს.
- (ვii) პორტლანდ ცემენტი უნდა შეესაბამებოდეს S 197-1
- (ვiii) სულფატის ხსნარ-მუავის სრული შემცველობა საამშენებლო ხსნარის ნარევი, როგორცაა S 4 არ უნდა აღემატებოდეს ცემენტის მასის 5% ნარევი. სულფატის ხსნარ-მუავა ( S ) უნდა განისაზღვროს №2 ცდის მიხედვით TR –ში მოხსენება 447. სულფატის შემცველობა უნდა იყოს დათვლილი, როგორც სრული ნარევის სხვადასხვა მინარევთან შეფარდება.
- (ix) თუ სამუშაოებისთვის წყალი არ არის ხელმისაწვდომი წყლის მომწოდებელი კომპანიისგან, სამუშაოს მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს წყლით მომარაგება S 1008 ინსტრუქციის მიხედვით. წყალი წყლის კომპანიისგან შეიძლება იყოს გამოყენებული შემოწმების გარეშე. სადაც გამოცდა საჭიროა, წლის სულფატის შემცველობის გამოცდა უნდა მოხდეს TR –ის 447 მოხსენების ცდა 1-ის მიხედვით. წყლის გამოყენება არ შეიძლება, თუ სულფატის შემცველობა აჭარბებს სულფატის ( S 4 ) 1.4გ ლიტრზე. წყალი ზღვიდან ან მდინარეებიდან არ გამოიყენება.
- (x) საფუძველის ფისიანი ხსნარი დამზადებული უნდა იყოს თერმომდგრადი ორგანული პოლიმერული სტაბილური სითხით და/ან მყარი კომპონენტებით, რომლებიც არევისას ქიმიურ რეაქციაში შევლენ მყარი მასის შესაქმნელად. პროდუქცია შეიძლება დამზადდეს ეპოქსიდის, პოლიესტერის, პოლიურეტანის ან აკრილის ფისის სისტემიდან. შემავსებლები მწარმოებლის მითითებების მიხედვით მოხმარებისთვის, ფისის შემცველობის თვისებების შესაცვლელად ან გავრცობისთვის,

უნდა იყოს წინასწარ შეფუთული, მშრალი და ქარხნულად დაფასოებული. სხვა შემავსებლის დამატება არ არის ნებადართული.

**ადგილზე შერევა, მომზადება და დაგება**

3) ბალიშისთვის დაპატენტებული ხსნარის (i) არევა, განთავსება და მომზადება უნდა მოხდეს მწარმოებლის დაწერილი ინსტრუქციების და ქვემოთ ჩამოთვლილი მითითებების გათვალისწინებით:

(ა) მასალა არ უნდა აირიოს ან გამოყენებულ იქნას თუკი გარემოს ტემპერატურა 5 C–ზე ნაკლებია. თუ დაგებამდე 24სთ-ით ადრე, ტემპერატურა 5 C -ს ქვემოთ დაეცა, სამუშაოს მწარმოებელმა უნდა შეინარჩუნოს სუბსტრატის და მასთან მოსაზღვრე ზედაპირების ტემპერატურა არანაკლებ 5 C–ზე, იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც მწარმოებლის მიერ არის რეკომენდირებული.

(ბ) ცემენტის საფუძველის ხსნარისთვის წყალი/ცემენტი შეფარდება არ უნდა აღემატებოდეს 0.4-ს. წყლის შემცველობა უნდა დადასტურდეს ცდის შესაბამისად და შენარჩუნდეს  $\pm 1\%$  სიზუსტე, სამშენებლო მოედანზე ხსნარის დაგებისთვის.

(გ) უნდა აირიოს ხსნარის მხოლოდ მთლიანი, როგორცაა მოწოდებული. ადგილზე პროპორციული შერევა ნებადართული არ არის.

(დ) ხსნარის ტემპერატურა ნარევის დასრულებისთვის უნდა იყოს 5 C და 25 C –ს შორის

(ii) ცემენტის ბალიშის მოსამზადებელი ხსნარის ქვესაგები სუფთად უნდა გაირეცხოს წყლით ორი საათით ადრე გამოყენებამდე და სველად შეინახოს გამოყენების დაწყებამდე. სუბსტრატის ზედაპირი თავისუფალი უნდა იყოს წყლისგან. ბალიშის დაგების დროს ქვესაგები გაწმენდილი უნდა იყოს ჟანგისგან და ნამტვრევი ქვებისგან. ნარევი უნდა დაიგოს საბოლოო პოზიციაში არევიდან 25 წუთის განმავლობაში. ჩამოსხმის შემდეგ ნარევი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დაცული, სამი დღის მანძილზე, რომ არ მოხდეს აორთქლება.

(iii) ფისიანი საფუძველის ხსნარისთვის ქვესაგები უნდა იყოს მშრალი, თავისუფალი ჭუჭყისგან და მტვრისგან და აკმაყოფილებდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ პირობებს. ბალიშის დაგების დროს ქვესაგები გაწმენდილი უნდა იყოს ჟანგისგან და ნამტვრევი ქვებისგან. ხსნარი უნდა დაიგოს საბოლოო პოზიციაში არევის დაწყებიდან ერთი საათის ან მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ უფრო მცირე დროის განმავლობაში.

(iv) ხსნარი უნდა დაისხას პლინტუსის ერთი კუთხიდან. ხსნარის დამატება პლინტუსის კუთხეებში შეიძლება მას შემდეგ, რაც ხსნარი სრულად გაივრცობა პლინტუსის ქვემოთ.

(v) არანაირი შიდა ლითონის ქვესაგები არ უნდა დარჩეს გამყარებულ საფუძველის ხსნარში, გარდა პროექტის მენეჯერის მიერ დაშვებულისა.

**ლაბორატორიულად გამოცდა**

4) (i) ზოგადი  
სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ცემენტის ყველა ხსნარი, უნდა შემოწმდეს კონტრაქტორის მიერ. სადაც ცემენტის ხსნარის ერთზე მეტი პარტია გამოიყენება, ელასტურობის სტაბილურობაზე გამოცდა შეიძლება გამოიტოვოს ცდების რეჟიმისგან, საწყისი ლაბორატორიული გამოცდის დროს.

სამუშაოს მწარმოებელმა უნდა დაადგინოს გამოყენებული წყლის შემცველობა, გამოსახული მასალის მასის პროცენტებში. არევა უნდა ჩატარდეს მწარმოებლის მიერ დაწერილი ინსტრუქციის შესაბამისად.

(iii) ნაკადის კონუსის გამოცდა, ნაკადის კალიბრება

(ა) ხსნარის ნაკადის მახასიათებლები უნდა განისაზღვროს ნაკადის კონუსის გამოცდის მეთოდით აღწერილი ST სტანდარტით C939-02.

(ბ) გამოცდა უნდა ჩატარდეს 15 წუთის განმავლობაში არევის დაწყებიდან გარემოს 5 C და 20 C ტემპერატურაზე.

(გ) ცდისთვის 5 C ტემპერატურაზე, ნაკადის კონუსიც და მიქსერიც უნდა იყოს 5 C –ზე, მშრალი ნივთიერების ტემპერატურა 10 C, და, სადაც საჭიროა - წყლის ტემპერატურა 20 C.

(დ) ცდისთვის 20 C ტემპერატურაზე, ნაკადის კონუსიც და მიქსერიც, მშრალი მასალაც და საჭიროების შემთხვევაში - წყალიც, უნდა იყოს 20 C-ზე

(ე) ) ყოველი ტემპერატურისთვის უნდა ჩატარდეს ორი ცდა მაინც, დასრულების დროის  $\pm 5\%$  სხვაობით და დასრულების დრო 0.2 წამის სიზუსტით უნდა დაფიქსირდეს.

(iii) ) ნაკადი მინის ფირფიტებს შორის

(ა) ხსნარის ნაკადის მახასიათებლები მინის ფირფიტებს შორის უნდა განისაზღვროს აპარატით, სტანდარტული ნახაზების შესაბამისად.

(ბ) ) ცდები უნდა ჩატარდეს გარემოს ტემპერატურაზე 5 C და 20 C

(ც) აპარატის, მშრალი მასალის და წყლის ტემპერატურა ყოველი ცდისთვის

(დ) ხსნარი უნდა დაისხას აპარატის ერთ კუთხეში, არევის დაწყებიდან 18 და 20 წუთებს შორის.

(ე) ნაკადი დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება, როცა ხსნარი მიედინება მინის ფირფიტის ქვეშ და აღწევს საბოლოოდ 10მმ ზედა ფირფიტის ქვედა მხარეს ყველა პოზიციაში, სეგრეგაციის, წყლისგან დაცლის და ჰაერის გაშვების ყველა ნიშნის გარეშე.

(iv) ზეწოლაზე გამძლეობა

(ა) ცემენტის საფუძველის ხსნარის ზეწოლაზე გამძლეობა უნდა ჩატარდეს 70 მმ-იან 28-დღიან კუბზე.

(ბ) ნარევის, მშრალი მასალის და წყლის და ცემენტის შაბლონი უნდა იყოს 20 C. ტემპერატურისა.

(გ) 70 მმ ცემენტის კუბის შაბლონი უნდა შეესაბამებოდეს S 12390-1. ცდა ნიმუშზე უნდა შესრულდეს შაბლონის დაბეტონებით, ფრთხილად

ჩამსხმელით სუფთა ნარევის მისაღებად. შაბლონები უნდა იყოს დაფარული ფოლადის ფირფიტებით, რომ არ მოხდეს ხსნარის გაჟონვა.

(დ) არ უნდა მოხდეს შეკუმშვა. ნიმუში დაცული უნდა იყოს ნაყარისგან პირველი 24 საათის განმავლობაში, ამოვიღოთ შაბლონიდან და წყლისგან დავიცვათ. დაცვა უნდა შეესაბამებოდეს S 12390-2-ს.

(ე) გამოცდა უნდა შეესაბამებოდეს S 12390-3-ს.

(ფ) გამძლეობის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელი იქნება თუ არც ერთი მიღებული შედეგი არ იქნება ნაკლები 50 ნ/მმ<sup>2</sup>-ზე და განსხვავება უდიდეს და უმცირეს მნიშვნელობებს შორის, საშუალოდ, არ იქნება მეტი 20%-ზე. ყველა შედეგი უნდა მოხსენებულ იქნეს.

(v) ზეწოლაზე გამძლეობა (ფისი)

(ა) ფისიანი საფუძველის ხსნარის ზეწოლის გამძლეობა უნდა ჩატარდეს 24 საათიან ექვს 40 მმ კუბებზე.

(ბ) 40 მმ საცდელი კუბი უნდა შეესაბამებოდეს S 6319:1-ელ ნაწილს და ფროთხილად უნდა აივსოს მილით, სიცარიელებების თავიდან ასაცილებლად. არ უნდა მოხდეს დაწნეხვა.

(ც) გამოცდა უნდა შეესაბამებოდეს S 6319: ნაწილ 2-ს.

(დ) მოთხოვნები გამძლეობაზე დამაკმაყოფილებელი იქნება, თუ არც ერთი მიღებული შედეგი არ იქნება ნაკლები 50ნ/მმ<sup>2</sup>-ზე და განსხვავება უდიდეს და უმცირეს მნიშვნელობას შორის საშუალოდ არ იქნება 20%-ზე მეტი. ყველა შედეგი უნდა იყოს მოხსენებული.

(vi) გამოცდა გაჟონვაზე

(ა) მცირე გაჟონვა უნდა განისაზღვროს ST სტანდარტ C827-01a-ში აღწერილი მეთოდით. შედეგები უნდა განისაზღვროს, საშუალოდ, ორი ცდისგან.

(ბ) ცემენტის საფუძველის ხსნარის გაჟონვა 24 საათში უნდა იყოს ნაკლები 2.5%-ზე და მეტი 0.25%-ზე.

(ც) საფუძველის ფისიანი ხსნარის მოცულობის ცვლილება 24 საათში უნდა მერყეობდეს -0.6% და +1.0% შორის.

(vii) გამოცდა წყალ შთანთქმაზე

(ა) საფუძველის ფისიანი ხსნარის წყალ შთანთქმა უნდა განისაზღვროს ST სტანდარტ C413-01-ში აღწერილი მეთოდით. შთანთქმა არ უნდა იყოს მეტი 0.4%-ზე

(viii) საფუძველის ცემენტის ხსნარის ელასტიურობის სტაბილურობაზე გამოცდა უნდა ჩატარდეს სამ კუბიან ერთ კომპლექტზე, რაც



დამზადებული იქნება 20 C-ზე, როგორც აღწერილია ამ მუხლის 4(iv) ქვე-მუხლში.

- (a) ნაკეთობა უნდა შეესაბამებოდეს S 12390-2-ს. მინიმუმ, 28 დღის შემდეგ კუბები უნდა მოთავსდეს 20 C-ზე გამთბარ წყალში და ტემპერატურამ თანაბარი სიჩქარით 24 საათის განმავლობაში უნდა მიაღწიოს 45 C-ს.
- (b) 45 C-ს მიღწევის შემდეგ კუბები უნდა მოთავსდეს პოლიეთილენის პარკებში და 6 საათის განმავლობაში განიცადოს 306/მმ2-იანი ზეწოლა 45 C-ზე, რის შემდეგაც გაიზომება დეფორმაცია.
- (c) დეფორმაცია ყოველ კუბზე არ უნდა აღემატებოდეს 1%-ს.
  - (ix) საფუძველის ფისიანი ხსნარის ელასტიურობის სტაბილურობაზე გამოცდა უნდა ჩატარდეს ორი 40 მმ კუბის ერთ კომპლექტზე, S 6319: ნაწილი1 –ს შესაბამისად
  - (ა) კუბების შაბლონიდან ამოღებიდან 24 საათის შემდეგ ისინი უნდა გახურდნენ 45 C-მდე ერთნაირი სიჩქარით შემდგომ 24 საათში.
- (ბ) 45 C მიღწევის შემდეგ კუბებზე უნდა მოხდეს 306/მმ2-იანი ზეწოლა 6საათის განმავლობაში 45 C-ზე და შემდეგ გაიზომოს დეფორმაცია.
- (გ) დეფორმაცია არ უნდა აღემატებოდეს 1% ყოველ კუბზე

### ადგილზე კონტროლის ტესტი

5 (i) თუ ეფლუქსიის დრო 5 C და 20 C –ზე განისაზღვრა ამ მუხლის მე 4 ქვემუხლის მიხედვით და არის 10%-ის ფარგლებში ან 2წმ-ია იმისთვის, რომელიც უფრო მეტია, მაშინ ადგილის კონტროლის ტესტი ნაკადისთვის უნდა ჩატარდეს ისე, როგორც აღწერილია ქვემოთ (a)-ში; სხვა შემთხვევაში, როცა ჰაერის ტემპერატურა ნაკლებია 10 C-ზე, ადგილის კონტროლის ტესტი ნაკადისთვის უნდა ჩატარდეს, როგორც აღწერილია ქვემოთ, ნაწილ (b)-ში და როცა ჰაერის ტემპერატურა მეტია 10 C-ზე, ადგილის კონტროლის ტესტი უნდა ჩატარდეს, როგორც აღწერილია ქვემოთ (a)-ში.

- (a) გამზადებული ნარევის ყოველი დასხმა ადგილზე სამუშაოებში უნდა შემოწმდეს გარემოს ტემპერატურაზე ნაკადის კონუსის მეთოდით, როგორც აღწერილია ამ მუხლის 4(ii) ქვე-მუხლში. შედეგები უნდა თანხვდებოდნენ  $\pm 10\%$  ფარგლებში ან  $\pm 2$  წამით, რომელიც უფრო მეტია, 20 C-ზე მიღებული მნიშვნელობებისთვის ტესტით.
- (b) გამზადებული ნარევის ყოველი დასხმა ადგილზე სამუშაოებში უნდა შემოწმდეს გარემოს ტემპერატურაზე ნაკადის კონუსის მეთოდით, როგორც აღწერილია ამ მუხლის 4(ii) ქვე-მუხლში. შედეგები უნდა თანხვდებოდნენ  $\pm 10\%$  ფარგლებში ან  $\pm 2$  წამით, რომელიც უფრო მეტია, 5 C-ზე მიღებული მნიშვნელობებისთვის ტესტით.

(ii) ზეწოლის გამძლეობა. სამი კუბი ყოველი გამზადებული დასხმული ნარევიდან ადგილზე სამუშაოებში უნდა შემოწმდეს ზეწოლის გამძლეობაზე, როგორც აღწერილია 4(iv) ქვე-მუხლში ან ამ 4(v) მუხლში შესაბამისად.

**დაშვებები**

6) შემდეგი დაშვებები უნდა იყოს გამოყენებული ამ მუხლში ჩამოთვლილ ყველა ტემპერატურაზე:

- 5 C (- 0 C + 2 C)
- 10 C (- 0 C + 2 C)
- 20 C (- 0 C + 2 C)
- 45 C (- 2 C + 2 C)
- 110 C(-5 C + 5 C)

დაშვებები გამოყენებულია ყველა წრფივი განზომილებებისთვის, თუ სხვანაირად არ იქნება ნაჩვენები ნახაზებზე, უნდა იყოს +1%.

**2602 ცემენტი დამხმარე მიზნებისთვის**

**ზოგადი**

ცემენტის ხსნარები ჩამოთვლილი კონტრაქტში, როგორც ST გადანომრილი, უნდა ითვალისწინებდეს ცემენტს დამხმარე მიზნებისთვის, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ მუხლს და სხვა დამატებით მოთხოვნებს დიზაინში.

2) ცემენტი დამხმარე მიზნებისთვის სტანდარტიზირებული უნდა იყოს S 206- 1-ში აღწერილი ცემენტის შესაბამისად და S 8500 -თვის და ამ მუხლის დამატებითი მოთხოვნებისთვის

**ცემენტი**

3) ცემენტის ტიპები, როგორც განსაზღვრულია S 8500, იხილე ცხრილი .17 S 8500-1-სა ან ცხრილი 1 S 8500-სა, უნდა იქნეს სულფატმედეგი პორტლანდ ცემენტი ან როგორც პროექტის მენეჯერის მიერ იქნება მოწონებული

**აგრეგატები**

4) აგრეგატები უნდა შეესაბამებოდეს S 12620 და სანამ სხვანაირად განისაზღვრება, მაქსიმალური ზომა უნდა იყოს 20მმ. მჟავა-გამხსნელი სულფატის სრული შემცველობა ცემენტის ნარევისა, როგორცაა S 4, არ უნდა აღემატებოდეს ცემენტის მასის 5% ნარევიში. მჟავა-გამხსნელი სულფატი ( S) უნდა დადგინდეს ცდა №2-ის შესაბამისად TR -ში მოხსენება 447.

**კონსისტენცია**

5) ბეტონის კონსისტენცია უნდა განისაზღვროს მისი კონსისტენციის კლასით (დაჯდომა) და ან კონსისტენციის კლასით S2 ან კონსისტენციის კლასით S3

S 206-1 S 8500 –სა, როგორც შეეფერება მიზნებს

**ბეტონის სტანდარტიზირება**

6) ბეტონის განსაზღვრული სტანდარტები გამოყენებული განსაზღვრული მიზნებისთვის უნდა იყოს, როგორც განსაზღვრულია ცხრილში 26/1, სანამ პროექტის მენეჯერის მიერ სხვანაირად განისაზღვრება.

ცხრილი 26/1: ბეტონი დამხმარე მიზნებისთვის

მიზნები	სტანდარტირებული ცემენტი*
1 ფიცრის საყრდენები და ტრანსპორტის სანიშნე სვეტების ბურღვების დაყენება	ST2
2 გარემოს ბარიერის სვეტების დაყენება და განათების ბოძების დამაგრება	ST5
3 ყრუ ბეტონი, მიწაყრილი ნაგებობისთვის, სვეტების ხვრელების გადათხრები და 616 მუხლის შესრულებისთვის მზადება	ST1
4 საფუძველის მოწყობა და ცემენტის ტროტუარის კიდის დასხმის მზადება, არხები, კიდეები და ტრენზელები	ST1 ST4
5 დრენაჟის ტიპის ჩასადები. საფუძველი, არხი და კამერების კარნიზები	ST4
6 საფუძველი, თაღის რკალი და დრენაჟის გარსი ტიპისგან განსხვავებული. კამერების და წყალმდენი არხის გარსი	ST2

\* სანამ სხვანაირად განისაზღვრება

**ტრანსპორტირება, განთავსება და ბეტონის კომპაქტირება**

7) ბეტონის ტრანსპორტირება და განთავსება უნდა მოხდეს გაჭუჭყიანების, სეგრეგაციის და ნივთიერების დაკარგვის გარეშე. ბეტონის მაქსიმალური ტემპერატურა არევიდან დასხმამდე ნებისმიერ დროს არ უნდა იყოს 30 C მეტი . ბეტონი უნდა განთავსდეს და კომპაქტირდეს არევიდან ორი საათის განმავლობაში. კომპაქტირების შემდეგ მისი განძრევა არ შეიძლება 12 საათის განმავლობაში.

8) ბეტონის კომპაქტირება უნდა მოხდეს დამტკეპნით ან ვიბრაციით სანამ ის სრულად არ იმუშავებს რაიმე ჩადგმული ლითონის გარშემო და სამუშაოს ფორმის კუთხეებში ან ექსკავაციის, სანამ მყარი მასა საფუძველიანად სუფთა, არ მიიღება სეგრეგაციის გარეშე და თავისუფალი წყლის გარეშე ზედაპირზე. სამუშაოს მწარმოებელმა უნდა ამოარჩიოს კონსისტენცია, როგორც განსაზღვრულია ამ მუხლის მე-5 ქვე-მუხლში ამის მისაღწევად.

9) დასრულებული ზედაპირი უნდა შეესაბამებოდეს 1708-ე მუხლს დაშემდეგს:

დაფარული ზედაპირები:

არაფორმირებული ზედაპირები უნდა იყოს 1 კლასის  
ფორმირებული ზედაპირები უნდა იყოს 1 კლასის

ღია ზედაპირები:

არაფორმირებული ზედაპირები უნდა იყოს 2 კლასის გარდა კამერის  
კარნიზებამდე უნდა იყოს 3კლასის  
ფორმირებული ზედაპირები უნდა იყოს 2 კლასის

10) სამუშაოს ფორმა უნდა ჩაიდგას ბეტონში დაზიანების გარეშე არაუგვიანეს 2 დღისა ბეტონის განთავსებამდე და ღია ზედაპირი უნდა იყოს დაცული, როგორც აღწერილია 1027-ე მუხლში ან დაიფაროს გაუმჭვირვალე მკვრივი მემბრანით ან ჰესენით ან ქვიშით, რომელიც ნოტიო უნდა იყოს. ასეთი საფარველი არ უნდა მოშორდეს დადებიდან ორი დღის განმავლობაში.

11) ეს მუხლი უნდა ეთანხმებოდეს ბეტონის სტანდარტირების S 206-1 და S 8500-2-ებს, ნაჩვენებს ნახაზებზე მიზნებისთვის განსხვავებულს ცხრილ 26/1-დან

### **2603 ფორმირანი არასქელი ბეტონი**

- 1) არა სქელი ბეტონი უნდა შედგებოდეს პორტლანდ ცემენტის C I S 197-1-თვის და ცალკეული 40 მმ ზომის აგრეგატისგან, რომელიც შეესაბამება S 12620.
- 2) აგრეგატის შეფარდება ცემენტთან უნდა იყოს 8/1 მოცულობით ან 10/1 მასით.
- 3) ბეტონი უნდა აირიოს ან მანქანით ან ხელით ერთგვაროვანი ფერის და კონსისტენციის მიღებამდე დასხმამდე. გამოყენებული წყლის ხარისხი არ უნდა აჭარბებდეს იმას, რაც საჭიროა აგრეგატის ნაწილაკის გარემოცვისთვის ზედმეტი ცემენტის ხსნარის წამოქმნის გარეშე.
- 4) ბეტონი მხოლოდ ხელით უნდა კომპაქტირდეს.

### **2604 პლასტიკური გარსი ფოლადის ბიძებისთვის და ჰიშკრებისთვის**

- 1) პლასტიკური გარსი ფოლადისთვის ან გალვანიზებული ფოლადის შემოსაზღვრის სვეტები, გასასვლელები და დამატებები უნდა შეესაბამებოდეს S 1722: ნაწილ 16. ფოლადის და გალვანიზების მომზადება უნდა თანხვდებოდეს 1990-ე სერიას.

### **2605 მაღალი ძაბვის ხაზების პლასტიკური გარსი**

- 1) ხაზი უნდა იყოს 4.40 მმ დიამეტრის მაღალი ძაბვის კარბონური ფოლადის გაჭიმული მავთული გაჭიმვის მინიმალური გამძლეობით 10506/მმ<sup>2</sup>, თუნუქის გარსით კლასის მიხედვით, რომ შეთანხმდეს S 10244-2-თან და პლასტიკური გარსით შემდეგი ქვე-მუხლების მიხედვით და ხარისხით გადაწყვეტილი.

2) პლასტიკურ გარსში ხაზისთვის უნდა გამოიყენებოდეს ექსტრუზიით შედგენილი შეთანხმებით S 2571 –თან 1 ტიპისა და შემდეგი დამატებითი მოთხოვნების (i)-(iii)-მდე მიხედვით:

(i) ვინილური ქლორიდის ჰომოპოლიმერი უნდა აიროს შესაბამის პირველად პლასტილინთან, სითბოს და სინათლის სტაბილიზატორთან, ლუბრიკატორთან და პიგმენტებთან. არც გამჟონავი ან ამავესებელი, გარდა სტაბილიზატორისა ან პიგმენტისა, არ უნდა იყოს გამოყენებული. სხვა მასალა არ უნდა დაემატოს.

(ii) არაუმეტეს 5% სუფთა ერთხელ მოხმარებული მასალა, რომელსაც ექნება იგივე შემადგენლობა, შეიძლება დაემატოს საწყის მასალას, საიდანაც ნარევი წარმოებული.

(iii) ნარევის სირბილის რიცხვი უნდა იყოს არანაკლები 5-ზე და 15 ნაკლები, გამოცდის, როგორც აღწერილია S 2782: ნაწილი 3: მეთოდი 365 .

3) ზედაპირი პრესირებული პლასტიკური გარსისა უნდა იყოს გლუვი და ფერი არ უნდა შეიცვალოს. გარსის ფერი უნდა იყოს ისეთი, როგორც მოითხოვება დიზაინით ან მწვანე ან შავი.

4) სრული ნომინალური დიამეტრი პლასტიკურ გარსიანი ხაზისა უნდა იყოს 4.00მმ. როცა დიამეტრის ორი გაზომვით ერთმანეთის მარცხენა კუთხეში განიკვეთში, ამ ორი გაზომვის საშუალო არ უნდა განსხვავდებოდეს დადგენილი ნომინალური დიამეტრისგან +0.05მმ-ზე მეტად.

## 2606 არ გამოიყენება

## 2607 გრანოლითური ბეტონის ბალუსვა და გამასწორებელი

1) გრანოლითური ბეტონი უნდა აიროს 1701.4-ე ქვე-მუხლის მიხედვით და უნდა იყოს C32/40 გამძლეობის კლასის მაქსიმალური აგრეგატის ზომით 4/10მმ 1704-ე მუხლის შესაბამისად. ის უნდა შეესაბამებოდეს 1705-ე, 1706-ე, 1707-ე და 1710-ე მუხლებს.

2) ცემენტი უნდა შეესაბამებოდეს 1703-ე ქვე-მუხლს.

3) აგრეგატი უნდა იყოს დამტვრეული გრანიტი S 12620-ის შესაბამისად ბეტონის იატაკის მძიმე სამუშაოს დამთავრებისთვის. აგრეგატი უნდა შეესაბამებოდეს ან ხარისხის მოთხოვნებს ცხრილში 6 0/10 90-თვის ან 0/6.3 90 მაქსიმალურ ზომას ყველა აგრეგატისთვის, დაბალი ხარისხის აგრეგატს ცხრილში 2 4/10 C85/20-თვის ერთეული ზომის აგრეგატისთვის და ქვიშისთვის 0/4 (C) ან 0/2 ( ) S 12620-ის საზღვრებში .

4) წყალი უნდა შეესაბამებოდეს 1702-ე ქვე-მუხლს.

5) გრანოლითური ბეტონი ამ მუხლში უნდა იდებოდეს ცემენტის საფუძველზე, რომელიც მომზადდება შემდეგნაირად. ლაიტანზი ცემენტის საფუძველს უნდა მოშორდეს მავთულის ფუნჯით და წყლის ნაკადით. ეს უნდა გაკეთდეს ცემენტის საწყისი დადების შემდეგ, მაგრამ გამაგრებამდე და აგრეგატის შეხების გარეშე. გრანოლითური ცემენტი ამ მუხლში უნდა დაიდოს არაუგვიანეს სამი დღისა ცემენტის საფუძველის დაგებიდან.

6) კომპაქტირების შემდეგ გაღვსილი ზედაპირი ან გასწორებული უნდა გათანაბრდეს ნიჩაბით გლუვობამდე მოთხოვნის დონის, პროფილების და კონტურების შესრულებისთვის უნდა წამოადგენდეს 3კლასის დასრულებულ ზედაპირს 1708-ე მუხლის მიხედვით.

## სერია 3000 – ლანდშაფტი და ეკოლოგია

### 3001 ზოგადი ინფორმაცია

#### შეტყობინებები და ურთიერთკავშირი

1) კონტრაქტორი ვალდებულია პროექტის მენეჯერს მინიმუმ 48 საათით ადრე შეატყობინოს ქვემოთ ჩამოთვლილი ოპერაციებიდან ნებისმიერის შესრულების განზრახვის შესახებ:

- ქვენიდაგის დამუშავება;
- ნიადაგის ფენის დამუშავება;
- ბალახის დათესვა;
- რგვა;
- მულჩირება;
- ხეების ჭრა;
- ხეების მოშენების სამუშაოები
- სამუშაოები გზის გადაღმა;
- ნებისმიერი სამუშაო ბუნებრივ ნაკრძალში ან ადგილზე, რომელიც არქეოლოგიური ინტერესის საგანს წარმოადგენს ან ასეთი ადგილების მიმდებარედ ან სამუშაოები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ასეთ ადგილებზე.

შესაბამისი შეტყობინება პროექტის მენეჯერს მიეწოდება ოპერაციების დროებით შეწყვეტის შემთხვევაშიც. კონტრაქტორი უშუალოდ დაუკავშირდება მიწის სხვა მფლობელებსაც და გადასცემს მათ შეტყობინებას და შეათანხმებს მათთან გზის გადაღმა სამუშაოების წარმოების კონკრეტულ თარიღებს.

#### ტორფი

2) ტორფი და ტორფის შემცველი პროდუქტების გამოყენება დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამუშაო უბანზე მოხდება ტორფის ამოთხრა ექსკავაციის შედეგად.

### **გარემოს დაცვის მართვის დაგეგმვა**

გარემოს დაცვის მართვის გეგმა (გმგ) დაფუძნებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მონაცემებზე (გზშ), რომელიც კონტრაქტორისთვის ხელმისაწვდომი იქნება პროექტის მენეჯერთან მიმართვის შემდგომ. გზშ-ში დამუშავებულია პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია პროექტის მიზეზით გამოწვეული უარყოფითი ეკოლოგიური მოვლენების აცილება ან უკიდურეს შემთხვევაში – შერბილება. ქვემოთ წარმოდგენილ გარემოს დაცვის მართვის გეგმაში წარმოდგენილი, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის ფაზასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტრაქტორია პასუხისმგებელი.

უარყოფითი ზემოქმედებისთვის, რომლის აცილებაც ან შემცირებაც შეუძლებელია, კონტრაქტორს მოეთხოვება საკომპენსაციო ღონისძიებების ნაკრები, რომელიც ჩართული უნდა იქნეს რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის ფაზაში.

რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის ფაზის გარემოს დაცვის მართვის საერთო გეგმა შედგენილია იმგვარად, რომ მოიცავს გზშ-ში აღნიშნულ ყველა ზემოქმედებას და ასახავს შემოთავაზებული ღონისძიებების მოკლე დახასიათებას.

კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს დეტალური, ადგილის (ან მონაკვეთის) მიხედვით სპეციფიური გზშ, რომელიც დაფუძნებული იქნება:

- გზის რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის საერთო/სტანდარტულ გზშ-ს სტრუქტურაზე და შემარბილებელ ღონისძიებებზე;
- დამჭირავებლის მიერ მის გზშ-ში წარმოდგენილ ადგილის/მონაკვეთისთვის საჭირო სპეციფიურ მოთხოვნებებზე;
- გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის კონტრაქტორის დეტალურ/სპეციფიურ სამუშაო გეგმაზე (მეთოდოლოგიაზე).

გზშ-მ უნდა განსაზღვროს ზემოქმედებანი, შემარბილებელი ღონისძიებანი, მონიტორინგის დრო და სისშირე და გზშ-ს განმასორციელებელი პასუხისმგებელი პირი.

სპეციფიური გარემოს დაცვის მენეჯმენტის ღონისძიებანი განსორციელებული უნდა იქნეს კონტრაქტორის მიერ და უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ მოცემული ცხრილს. სპეციფიური გაზრემოს დაცვის ღონისძიებანი დეტალურად უნდა აისახოს კონტრაქტორის სამუშაო ადგილის/მონაკვეთის გზშ-ში.

